



წელი და

საბოლოიდიკო და სალიცერაფურო ყოველკვირეული გამეთი

მეორეთშეცვა

№ 30

1903 წ. 23 იანვარი

№ 30

გამეთის ფასი: ერთის წლით ტუილისში 7. მან., ხაზვარი წლით—3 მან. და 50 კპ.; ტუილის გარეთ ერთის წლით 8 მანეთა, ნახვარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თოთხ ნომერი 15 კპ.

ხელის მოწერა წილება: ტუილისში—„წერა-კითხვას ამაღლებელ საზოგადოების“ ქანცელარიაში და თვით „კვალის“ რედაქციაში: რუსის ბაზარში, საექსპოზიციო სახლში, იქვე, სადაც ექ. ხელობის სტამბა.

რედაქციის ქანცელი დია ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 2-შედე და სალის 5 საათიდან 8-მდე. სარეაცენი სქმებში ბარიადი მოლაპარაკება შეიძლება უკველ დღე, გარდა ორშაბათის და სამშაბათის, შუადღის 12-დან 2 საათმდე.

ფასი განცხადების უკანასწელ გვერდზე სტრიქნი როგორც შეუჩინობის და მისი ისტორია, რ. რაჟდენიძისა—განცხადებანი.

ზონაზე: თეატრის რას უწუნებო, ყვირილელისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთი.—უცხოეთის ამბები.—მხოლოდ მაშინ... (ლექსი) კ. გოგოლაძისა.—ილიკო უბელურება (მოთხოვბა) თარგ. თამარა გოგოლაშვილისა.—ნაწყვეტები პლიტკური ეკონომიდან, ა. წულუკიძისა.—კერძო საკუთრება და მისი ისტორია, რ. რაჟდენიძისა.—განცხადებანი.

თეატრის რას კურუნებთ

ეს რამდენიმე თვეა სათეატრო კითხვა შფოთის საკითხათ არის გადაქცეული ჩვენში და დღითი-დღე უფრო და უფრო მწვავდება. კვირა არ გაიცლის, რომ რომ სამი სტატია არ დაიბეჭდოს განეთებში დრამატიული გამგეობის და მის მოქმედების შესახებ. საზოგადოების გაცხარებამ იმ ზომამდისაც კი მიაღწია, რომ ის თვით ჩატრია სათეატრო საქმებში და გამგეობის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინა თეატრის დარბაზში. პასუხათ გამგეობის წევრებმა გამოაცხადეს, სამ დეკემბრიდან თავს ვანებებთ სამსახურს და სხვები აირჩიოთ.

ამ ნირათ, 3 დეკემბრს დრამატიულმა საზოგადოებამ ან უნდა ახალი გამგეობა აირჩიოს, ან უნდა ძევლი დაითანხმოს დარჩენაზე. თრივ შემთხვევაში საჭირო არის გამოირკვეს, რას უწუნებდენ ან რა მოუწონეს ძევლ გამგეობას.

„კვალმა“ 28 წ.-რის „შინაურ მიმოხილვაში“ უკვე გამოთქვა თავისი აზრი თეატრზე და მის დღევანდელ მდგომარეობაზე. ეს აზრი ბევრი იუცხვა. მოწინააღმდეგებმა ჩვეულებრივათ გადამახიჯეს ეს და აუწყეს თავის მკითხველებს, „კვალმა“ შებლალა ეროვნული წმიდათა წმიდაო... ჩვენ შევეჩვენ ასეთ მოვლენას და თუ დღეს ხელ ახლა კუბრუნდებათ თეატრის საკითხს, ეს იმიტომ, რომ კითხვამ მეტა მწვავე ხასიათ მიიღო და საზოგადოება გაფაციცებით თვალყურს ადევნებს მას.

რომ ჩვენი აზრი უკეთ გამოვარკვიოთ, ჩვენ დავუპირდაპირებთ მას პრესაში გამოთქმულ წინააღმდეგ შეხედულობას, მით უმეტეს, რომ ამით საშუალება მოგვეცება გზა-და-გზა პასუხი გავცეთ მათ, ვინც ჩვენი სიტყვები ვერ გაიგო, ან განზრახ გადამახიჯა.

ჩვენ ვწერდით ქართულ თეატრის დღევანდელ რეპრესუარზე, რომ ის ვერ აქმაყოფილებს ახალ ცხოვრების მოთხოვნილებებს. ქართულ საზოგადოებაში,—ვამბობდეთ ას, — „არის ნაწილი და ძალიან დიდი ნაწილი, რომელსაც ვერ აქმაყოფილებს ვერც გაცემილი პატრიოტიზმი, ვერც „სამშ-

ბლოს“ და ქართული ენის ყვირილი. მისი იდეალი საკაცობრიო იდეალია, ის ამ იდეალით სცოცხლობს, ამით საზრდოობს, ამით იმედოვნებს. აშშუ მას გველივით ეზიზლება, წარსული ჭირივით ეჯავრება. ის იცქირება ბრწყინვალე მომავლისკენ, სადაც ისპობა ყოველ გვარი უკანონობა და ძალმომრეობა, სადაც დაახაგრას და გაყვლეფის ადგილი არ ეწება. და თეატრშიაც უნდა მას ყველაფერი ეს დაინახოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პირველათ დაესწრება თქვენ წარმოდგენებს, მაგრამ როცა დაინახავს „შიგ არაფერი ყრია“, უკან გაბრუნდება და დაცინვით იტყვის: შასხრობათ. და არც იქნება ის ამაში დანაშაული...“ („კვალი“ № 28). აი, ამ სიტყვებმა შეაშფოთა არა თუ „ივერია“, „ცნობის ფურცელიც“ კი. „შინ და გარეთ“-ის ავტორი გვისაყველურებს („ცნ. ფ.“ № 2321), როგორ შეიძლება წარსულის უარყოფაო. „მესმის, ვსოდეთ: მეჯავრება ბატონ-ყმობა, დესპოტია და საზოგადოთ სხვა ფორმები წარსულის მოუწყობლობისა, ხოლო მთელი წარსულის უარყოფა ეს ხომ ხალხის უარყოფაც იქნება?.. განა ჩვენ წარსულში ბრძოლა არ იყო ეროვნობის და მის კულტურის დაცვისთვის? განა ერი არ მიისწრაფებოდა უკეთს მომავლისაკენ და არ იბრძოდა?“ უკელავერი ეს რასაკვირველია, იყო. წარსულშიაც იყო ბრძოლა ეროვნობის და მის კულტურის დაცვისათვის, მაგრამ, საუბედუროო, მთელ ამ წარსულში არ ერთხელ არ ჩაფენია ხალხს გულში ბედნიერების და მშვიდობიანობას სხივი. წარსულშიაც მიისწრაფებოდა ერი უკეთს მომავლისკენ, მაგრამ, საუბედუროო, მთელ ამ წარსულში არ ერთხელ ხალხის უმრავლესობას არ მოუხსნია მხრებიდან მძიმე ტეიროთი სხვისი ბატონობისა. და თუ წარსულში ხალხის ცხოვრება ძირიანულებიანათ ბატონ-ყმობაზე იყო აგებული, თუ უმრავლესობა განუწყვეტლივ ხან შინაგან, ხან გარეგან დესპოტიის ულელ ქვეშ გმინავდა, ნუ თუ მას, ვისაც ხალხი „რეალურ სიყვარულით“ უყვარს, თვით ეს რეალური სიყვარულ უფლებას არ აძლევს და არ ავალებს კიდევაც სთქმას ის, რაც ჩვენ ვთქვით დიახ, ჩვენ გვძულს ეს...

მაგრამ თანამედროვე ჩვენს ცხოვრებაში არის სხივები, რომელიც ბნელეთს ჰყანტავენ, და ის, ჩვენ გვინდა, თეატრმა ეს გზის მაჩვენებელი სხივები გამოგვიხატოს. ახალმა ცხოვრებამ დარღვია ძველი და აღნიშნა გზა მომავლისკენ. აქეთ ამ მომავლისკენ მისწრაფება მთელი განათლებული კაცობრიობა. ჩვენი ცხოვრება დაუახლოვდა მოწინავე ერთა ცხოვრებას, ამუშავდა და გამოცაცხლდა მიმთებურათ. და რადგანაც ცხოვრების დაახლოვებას აზრთა და იდეათა დაახლოვება მოჰყვა, ამიტომ ჩვენთვის შორეული როდია ევროპის დრამატიული ლიტერატურა. იქ გამოთქმული იდეები ბევრათ უფრო ახლო დანათესავურია ჩვენთვის, ვიდრე ჩვენს „პატრიოტულ პიესებში“ ჩამარხული დედა აზრები. ის, ეს მნიშვნელობა ჰქონდა იმ სიტყვებს „კვალის“ შინაურ ქრონიკაში, რომლებიც ბ. განს „აზრების არევდარევათ“ მოეჩვენა: „თეატრი რომელიმე ერის კუთვნილება არ არის, ის მთელი კაცობრიობის ჭკუა-გონების ნაყოფია“ და სხვ. და განა ეს მართალი არ არის? წარმოიდგინეთ ჩვენს სკენაზე „დოქტორ შტოქმანი“ და დაინახავთ, უცხოა თუ არა ჩვენი ხალხისთვის ეს ძლიერი პიროვნება, საზოგადოებრივ უსამართლობასთან მებრძოლი, ამ ბრძოლაში გაკაუებული, ძლეული, მაგრამ მაინც გამარჯვებული. წარმოადგინეთ ორიგინალური პიესებიც, მაგრამ ისეთები კი არ, სადაც ნატამალი არა სხანს დღევანდელი ჩვენი ცხოვრების. გამოიყვანეთ სკენაზე თუნდქ. აზიანის გმირები: „ხარისხებს“ პატრიონი, დროთა ბრუნვით გათელილი თავიდი; „ფულით“ ამაყი, თანამედროვე ცხოვრების ბატონი და „გაცრუებულ იმედების“ გმირი, ეს უცნაური ახალგაზრდა, რომლის გაჩენა ამ არ პირველს ნიადაგს აცლის. აი ის სამი ძალა,—წარსულის, აწმყოს და მომავლის მატარებელი,—რომლების ბრძოლა ქმნის წინ-მსვლელობას და ანგითარებს თანამედროვე ჩვენს ცხოვრებას. და სწორეთ ეს ბრძოლა უნდა გახდეს თანამედროვე პიესის ნასკართ. ეს, და მხოლოთ ეს, ჩაუდგამს თეატრს სასიცოცხლო სული, ეს და მხოლოთ ეს, მიაპყრობს მისკენ საზოგადო ყურადღებას და თანაგრძნობას. იმას ნუ გვეტყვით, როგორც ბ. Plebs-ი „ივერიის“ ფურცლებზე, ვითომ შეძლებელს გთხოვდთ: ახალი ნიჭის გაჩენა, თქვენ, რასაკვირველია, არ შეეძლიათ, მაგრამ თარგმნა ხომ თქვენ ხელთ არის, და პიესები, თანამედროვე ჩვენის ცხოვრების შესაფერი, ბევრია უცხო ენაზე. თქვენ ფართოთ გაუდეთ თეატრის კარები ახალ აზრებს, და თუ მაშინაც არ გამოჩნდა ნიჭიერა დრამატურგები, ჩვენ ამას როდი დაგაყვედრით და როდი გისაყვედურებთ.

მაგრამ საქმეც სწორეთ იმაში არის, რომ რეპერტუარის ამნაირი განახლება არ მოეწონება ბევრ წარსულის მოტრფიალეს, მაგალითად, იმავ ბ. Plebs-ს. „ჩვენი თავზე ხელ ალებული ხელოვნური კრიტიკა, ამბობს ის „ივერიის“ № 246-ში,—იმ ზომამდე გაკაღნიერდა, რომ მთლიან ჩვარში გაახვია ქართული ისტორიული დრამატურგია“... „უკველია, საუკეთესო ეკრანიული პიესებიც უნდა ითარგმნებოდეს ქართულათ, მაგრამ ჩვენის ისტორიისა და ცხოვრებიდან აღებულ თეატრალურ ნაწარმოებს მაინც უმთავრესი აღილი უნდა ეჭიროს. იცან თავისი თავიო—აი ძველი სიბრძნის მცნება“... აი, თურმე რისთვის ყოფილა საჭირო ისტორიული პიესები. იქ ჩვენ ჩვენსავე თავს ვცნობილობთ. მაგრამ ერთი გვიძრდანეთ, ბ. Plebs-ო, რომელ ჩვენს ისტორიულ პიესაშია დახატული ჩვენი წარსული ცხოვრება იმ სინამდვილით და რეალიზმით, რომელსაც ეს თქვენგან წამოყენებული მიზანი ითხოვს? სად, რომელ დრამაში დაინახავთ თქვენ შინაგან მდგომარეობის ნამდვილ გამოხატულებას, ბატონის და ყმის განწყობილობას,—და აბა ხომ ეს ბატონ-ყმური ურთიერთობა იყო მთავარი ძარღვი ჩვენი ძველი ცხოვრების? იქნებ თქვენ „სამშობლოზე“ მიგვითოთო, რომელიც

საუკეთესო ისტორიულ პიესათ ითვლება ქართულ ენაზე და რომელიც თავიდან ბოლომდე გადმოკეთებულია სარდეს ფრანგულ პიესიდან? იცან თავისი თავიო—ეგვიპტის და განა „სამშობლოთი“ იცნობს თავის შემდეგი ქართველი? და განა მასში ნახავს გზის მაჩვენებელ იდეალურს? ბ. Plebs-ი ამბობს: „ქართული თეატრი მარტო ხელოვნების ტაბარი როდი უნდა იყვენს, იგი ეროვნულ სკოლა-თაც უნდა გადაიქცეს“. ეს მართალია, თეატრი მართლა აზრს და საზოგადოებრივ გრძნობას უნდა აღვიძებდეს მაყურებელში. მაგრამ რაში მდგომარეობს ის აზრი და გრძნობა, რომლის ხალხში გაღვიძებას სცდილობებს ბ. Plebs-ი და მისი თანამოაზრენი? რას გვასწავლის „ჩვენი ისტორიული დრამატურგია“? უკველია, მასე, რაც შესისხლხორცებული იქნება ამ დრამატურგის ყველა მოტრფიალეს და რაც ასე სავსებით გამოხატა თვით ბ. Plebs-მა შემდეგ სიტყვებში: „სამწუხაროთ, ყოველ ძველისა და წარსულის პატივი აყრილი აქნეს. მაგრამ ევროპაში ეგრე როდია. იქ ძველისაც და ახალისაც თანასწორათ ეკიდებიან და ეს იმიტომ, რომ ძველია შეთანთ ხეით და ჟამით არის ძველი, და არა ბუნებია და აზრით“. (კურსივი ჩვენია).

მართალი მოგახსენოთ, ჩვენ ეს პირდაპირი აღსარება ბევრათ უფრო მოგვწონს, ვიდრე „ცნობის ფურცლის“ ორქოფი სიტყვა და ორქოფი აზროვნობა. როდესაც ბ. Plebs-ს ელაპარაკებით, იცით მაინც საქმე ვისთან გაქვთ. ის პირდაპირ გეუბნებათ—ძველი, წარსული,—აი ჩემი სატრფიალო საგანიო, თეატრიც იმას უნდა ემსახურებოდეს. „ცნობის ფურცელი“ კი „პრინციპიალურათ“ დაგეთანხმებათ—არ ვარგა ძველიო, მაგრამ თუ საქმე „უარყოფაზე“ მიდგა, მაშინ შეშფოთდება და შეშინდება: სულ ნუ უარყოფათ, დავიცადოთ. რაც შეეხება თვით დრამატიულ გამგეობას, ჩვენ მისი აზრი რეპერტუარის შესახებ არ ვიცით, რადგან არც ერთხელ არ გამოუთქმავთ. დღემდე მის მოქედებიდან უფრო ის ჩანდა, რომ ის Plebs-ის შეხედულობას თანაუგრძნობს, მაგრამ ჩვენ ამას გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, გამგეობის ერთმა წევრმა გვითხრა, ვერ მოვასწარით ახალ პიესების გადათარგმნაო. არ ვიცით, რამდენათ მონდომილი იყო ამას მთელი გამგეობა. ხოლო დრამატიულ საზოგადოების მომავლი კრებამ, თუ მას თეატრის გამოცოცხლება სურს, საქმე ისეთ გამგეობას უნდა ჩაბაროს, რომელიც რეპერტუარის განახლებას თავის მახლობელ მიზნათ დაიდეს... და გამგეობაც მაშინ მოიპოვებს საზოგადოებაში ისეთ თანაგრძნობას, რომ თეატრში მის წინაღმდეგ „სკანდალები“ შეუძლებელი გახდება.

კურიოლელი.

ს ც ვ ა დ ა ს ხ ე ვ ა მ გ მ ე ბ ი

კავკასიის მთავარ-მართვებელის თავიდის გ. ს. გოლიცინის ჯანმრთელობის ბიულეტენი: ტემპერატურა დიღლით 36,8, სალამით 37,0, მაჯა 64. თავიდი თანადათან კარგათ-მყოფობაში მოდის. ბიულეტენები შეჩერებულ იქნება. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდნენკო და გადომსკი. 20 ნოემბერი, სალამის 8 საათი.

ბოლო დროს ქალაქის საბჭოებმა მიაქციეს ყურადღება შრომის აუტანელ პირობებში ჩაყენებას. მოსკოვის საბჭოს გადაუწყვეტით თავის გაზეთში გამოიკვლიოს ქალაქის მუშების მდგომარეობა. ამისათვის რედაქცია სოხოვს ყველა ქალაქის, მათში ტფილისის ქალაქის გამგეობასაც, გაუგზავნოს შემდეგი ცნობები: 1) რამდენი მუშა ყავდა წელიწადში ქალაქის თვით-

მართველობას 1898 წლიდან 1902 წლამდე; 2) ყოველ წლიდით, აღნიშნულ დროს განმავლობაში ქალაქის რამდენი, მუდმივი და რამდენი დროებითი მუშა ყავდა; 3) როგორი წესები ქონდა გამგეობას მუშების დაქირავების, დროებით დათხოვნისა ან სამსახურიდან სრულიათ გამორიცხვისა; 4) დღეში რამდენ საათს მუშაობენ ქალაქის მუშები, რა დროს იწყება მუშაობა და როდის თავდება, რამდენი დრო ეძლევათ საუზმისთვის, სადილისათვის, ვახშისათვის და სხვა. 5) რამდენს იღებენ მუშები სამუშაოში; 6) რამდენ ფულს აძლევს ქალაქი იმ სამუშაოსათვის, რომლებიც სრულდება ღამით, კვირა უქმებში და სამუშევრათ გადაწყვეტილ დროს შემდეგ; 7) ეძლევათ, თუ არა, მუშებს პენია, ფულით შემწეობა და ხევა; 8) აქვთ, თუ არა, ქალაქის მუშებს უფასო ან იაფ-ფასინი საზოგადო საცხოვრებელი; 9) რა შინაარსისა ხელშეკრულობა ქალაქის მუშებთან დადებული და სხვა.

ამიერ-კავკასიის რეინის გზის გამგეობამ გადაწყვიტა 1904 წელს რეინის გზის უმცროს მოსამსახურეთ სადგომები მისცეს. გამგეობამ გადასდო 70,000 მან. სახლების ასაგებათ.

როგორც „ჩერნ. ვესტ.“ მოგვითხრობს. სოხუმში ამბავი მოვიდა, რომ საბჭოს მიერ ქალაქის მოურავათ არჩეული ბ-ნი აბულაძე არ დაამტკიცეს აღნიშნულ თანამდებობაზეო.

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის განკარგულებით, აგრონომს ს. ნ. ტიმოფეევს გამოუკვლევია-ის პეტელა, რომელიც დასავლეთ საქართველოში სიმინდს გაუჩნდა, ბ-ნ ტიმოფეევს შეუდგენია წიგნაკი, სადაც ჩამოთვლილია ამ პეტელასთან საბრძოლველი საშუალებანი. წიგნაკი მაღლ გამოვა რუსულსა და ქართულს ენაზე.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ წელს ზაფხულს სოფელ ამაღლების მცხოვრება ს. წერეთელმა რევოლვერით მოკლა ბოქაული იაშვილი და ამავე სოფლის მამასახლისი. ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა ექვს. ამ თვეს. წერეთელი დამნაშავეთ იცნო ზემო აღნიშნულ მკვლელობაში და მიუსაჯა, ყოველისავე ლირსებისა და განსაკუთრებულ უფლებათ ჩამორთმევა და თორმეტის წლით კატორგაში გაგზავნა. წერეთელს იცავდა ნაფიცი ვექილი მ. ფალავა.

7 ნოემბერს ქალაქ გორში ტფილისის სასამართლო სესიიამ ბ. მ. შვერინის თავმჯდომარეობით გაარჩია ამიერ კავკასიის რეინის გზის მიხაილოვის დეპოს მუშების: დიმიტრი უდანოვის, კლასიმეს ხოსნეროვის, ნიკოლოზ ფერაძის, გიორგი გუდაძის, ივანე სუხიაშვილის, დავით კამაბაძის, დავით თედოზაშვილის, ვასილ კვესაძის, ვასილ სამხარაძის, სერგო არუთინოვის, ვასილ ლაშიაძის, რომანოზ მეგრელიშვილის, მათე მესაშვილის, პროკოფი კინაველიძის და ლევან ჩახვაინცის საქმე, —სულ 15 კაცის. მათ ბრალით ედებათ მიხაილოვში 16 ივლისს მეთაურობა და პოლიციის და ჯარისთვის წინააღმდეგობის გაწევა სამსახურის ასრულების დროს.

სასამართლოში საქმის განხილვა, ხალხის დაუსწრებლათ მოხდა, დახურულ კარებში. კვირას დასრულდა საქმის გამოძიება და მთელ დღეს გაგრძელდა კამათი მუშათა დამცველებისა: ლ. ნ. ანდრონიკაშვილის, გრიშენბერგის, ნ. ელიავასი, ხომენტკოვსკის, კ. ჯაფარიძის, ჯალალივისა და ტურქევიჩისა. ოლქის სასამართლომ თითქმის 5 საათის თაბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი. გაამართლა ბრალდე-

ბულნი: დავით კამპამიძე, დავით თედოზაშვილი და გრიგორ გუდაძე. დანარჩენი დამნაშავეთ იცნო და გადაუწყვიტა: ნაკოლოზ ფერაძეს, ივანე სუხიაშვილს და ვლადიმერ ჭავჭავაძეს მცირე წლოვანობისა გამო ლირსების ციტატების ციტატების 1½ წლით საპყრობილები დაპატიმრება, ხოლო დანარჩენთ — ყოველისავე პირადათ თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმი გაგზავნა: მათე მუსაბლიუშვილს და ლევან ჩახვაინცის — 1½ წლით, ხოლო უდანოვს, კვესაძეს, არუთინოვს, სამხარაძეს, ლამბაძეს, მეგრელიშვილს, კინაველიძეს — 2½ წლით. მუშები არ დასთანხმდენ განაჩენის და განაცხადეს, საქმე ტფილისის პალატაში უნდა გადავიტანოთ.

11 ნოემბერს, ტფილისის პალატაში გაარჩია საქმე ბათუმში როტშილდის ნაციის ქარხნის მუშების სტეფან აბრაუ-მოვის, სამსონ გოგუასი, თეოფილე თევზაძის და პერტია-სი. ამათ ბრალით ედებათ 1902 წ. 9 მარტს ბათუმში მომხდარ მუშათა არეულობაში და ჯარიან შეტაკებაში მონაწილეობის მიღება, მთავრობის მოხელეთა ბრძანებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

პირველათ ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია ამ წლის 6 მარტს. მან დამნაშავეთ იცნო ბრალდებულნი, და მიუსაჯა: სტეფან აბარცუმოვს 3 თვით, სამსონ გოგუას — 6 თვით, გიორგი კალანდაძეს — 2 კვირით და დანარჩენთ ორ-ორის თვით საპყრობილები დაპატიმრებმა უფლება-უპირატესობათა ჩამოურთმევლათ. ბრალდებულთა დამცველებათ გამოვიდენ: მოსკოველი ნაფიცი ვექილი სტალი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე ლ. ნ. ანდრონიკაშვილი და ნაფ. ვექილი ხომენტკოვსკი. საქმე ხალხის დაუსწრებლათ გაირჩა. პალატა დაეთანხმა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მისი განაჩენი შეუცვლელათ დამტკიცა.

ჩვენ მივიღეთ 1904 წლის „გედლის გადაწყვეტილები“, გამოცემული გრ. ჩარკვანის მიერ, კალენდარი სუფთათ არის გამოცემული, შეგ სხვა-და-სხვა ცნობებია დაბეჭდილი და ლირს 40 კ.

კ თ რ ე ს ბ თ ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი

გათოვი. ამ უკანასკნელ დროში სამ-ოთხჯერ მოხდა ქალაქის პირველ-დაწყებითი შეკლების მასწავლებელ ქალთა და ვაჟთა კრებები. ამ კრებებზე უნდა შემუშავებულიყო და გამორკვეულიყო მოსაზრება სამოსწავლო საქმის გასაუმჯობესლათ, რომლის განხორციელებას ეცდება მომავალში ბ. ურული, ამ კრების დამნიშნავი, როგორც გამგეობის წევრი. შეითხველი დამეთანხმება, რომ ამ გვარი კრებების შედეგი მეტის-მეტათ სასარგებლო იქნება და თუ ამ გზით იმოქმედებს ქალაქის თვით-მართველობა პირველ დაწყებითი შეკლების საქმე შესამჩნევათ წაიწევს წინ. თვითონ მასწავლებელი, რომელსაც მუდამ სკოლასა და მოწაფეებთან აქვს საქმე, უფრო კარგათ მიხვდება, რა ესაჭიროება შეკლას, რომ წარმატების გზას დაადგეს და სწორეთ ამ მოსაზრებით ბ. ურულის ქცევა მოსაწონია.

კრებებმა რამოდენიმე მოსაზრება-უკვე წამოაყენებს, მაგალითათ საჭირო სუნას, სამასწავლებლო წიგნთ-საცავის და-არსება, ახალი შეკლების მომატება, რაღაც არსებული ოთხი-ხუთი შეკლა ვერ იქმაუფილებს ხალხის მოხხილებას და ბევრი სწავლის მოსურნე პატარები რჩებინ შეკლის გარეთ. ეს კითხვები და მასთან კიდევ ორი სხვა (მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შეკლებთან პროფესიონალურ გან ყოფილების გახსნის შესახებ) მიანდოთ თვით მასწავლებელთაგან (ი. გოგოლაშვილი, ფ. მეგლაძე, ერ.

შარაშიძე) შემდგარ კომისიას უფრო დაწვრილებით გამოსარ-
კვევათ. კომისიამ ასეთი მოხსენება წარუდგინა კრებას:

Յորշել դա թյցենոտ կյուղեծիս նայլեծոծիս թռածեծած
դա ხալեն մոտեղնոլցիս դասայնապոտոլցից մատա-
տվուցուլ գանցուցուլցիս սայստարո մասնացուցուլցից յը-
տո ոմիսեցու, հռմ հռուր մասնացուցուլցիս մարտո յրու գանցո-
ւուցուլցիս չիցու, ու պաշտուցու ծյարու մյուս անացուցու դա
ծազշեցից պայուն ցուլունատ ունիացուն, դա մյուրու ոմիս-
տու, հռմ մանու սամջեր մյուս ծազշեցիս մոլցի նյումուցու դա
մանասածամյ խալեն մոտեղնոլցիս այսապոտուցու ոյնց-
ին մարտալու, ճամփեն կոմիսու, ամ նյումուցու պայուն պան-
նու ար մոեցուցի նյումու դա խալեն սումունու ցամո մանու մո-
յուլեցուլու ճարհեցի մաս, մարս գրամանու պայունու նյումուցու
նայլու նյումուցու ոյնցին. հասայուրացուու, յև մյուս խարխչ-
մոտեղնուց, մարս ճատուն արու ուսց ճարինու (ու յու նյումուն
ածոյիս ար առցեցն), հռմ մաս մունչու զըր նյումունու. հա-
սայուրացուու, ու նյումուցու հուպես մոյմարուց է մասնացու-
ծուցուլու որու սամո յըպուցի տոտու, յև պայունուցու, մարս
պայունու յալույնու մամյեցուցան յև մուսալունցու ար արու, ամո-
ւում ուսու յարցու, ու մասնացուցու մոյր նահանցեց քնաս
ճաճցցին. մեռլուն ամաս պանցա ճապատու հիցն, հռմ սայուրա-
պայուն նյումուցու յրու նյումու մանու մոյմարու, հռու յելու-
նյումուցու տանամինատ յանցերուցու յալույնու սեց-ըս-սեց նախուլց-
ին. յելու նորպայ ճանցուու սյումուցու յըպելու յրու պանցին մո-
մինչուցուլու դա ճանահինու պանցին յունցու պայունու ճառագուտաւ մոյրո-
ւուցուլու. պայունու, ու յոնցա, մյուրու նախուլու յալույնու: պի-
սելունցու խալեն յանցու սյումուցու յըպելու յալույնու նախուլու

მოხსენებაში ნათქვამია აგრძელებული „საჭიროა ყოველ შეკვეთის თითო მეოთვალყურე ყავდესო“, და რომ „ქალაქს მეტი ხარჯები არ მოუვიდეს, ამისათვის გალობის მცოდნე კაცი უნდა მოინახოს, რომ გალობის მასშავლებლობაც შეისრულოს“. ჩაც შეიძლება უფრო ბევრი გონიერი და მომზადებული აღმზრდელები რომ საჭიროა ბავშვებისათვის, ამას ჩასაკვირველია არავინ არ ჰყოფს უარს, მარა ქალაქის მამების უფრთხისან ხარჯებს სკოლებზე და სხვა ამგვარ დაწესებულებებზე, რომ მათი ხარჯი შეკვეთის რიცხვზე იქმნება გავლენას. ჩაც შეეხდა გალობას, ამისათვის კი ქალაქს შეუძლიან, სამი-ოთხი შეკვეთისთვის ერთი მგალობელი დაიქირაოს და ამით ხარჯები შეამტკიროს.

რომ შეკლა თავის მიზანს რიგიანათ ემსახურებოდეს, ამის-
თვის საჭიროა, რომ მასწავლების შრომას აღმაცერათ არ
უყურებდენ და მათ რიგიანი ჯამაგირი ეძლეოდეთ. ბევჯერ
გვსმენია ჩვენი ქალაქის მამებიდან: „მასწავლებლები სხვაგანიც
ასე არიან და, მაშასადამე, აქაც ასე უნდა იყონო“. მარა ასე-
თი ანალოგია ვერ არის სამართლიანი და საფულებლიანი. რომ
მასწავლებლის შრომა ერთობ მძიმე ტეირთია, ეს ყველამ იცის,
მაშასადამე, თუ კი საშვალება მოეპოვება ქალაქს, ჯამაგირიც
შესაფერი უნდა მისცეს, და რომ საშვალება კი აქვს, თუ
მასწავლებლებისთვის არ დაიშურებს — ეს კანონი უკარგისა.

დასასრულ, მომხსენებლები უჩევენ ქალაქს, რომ შკოლებთან დაარსოს პროფესიონალური განყოფილება, სადაც ბავშვები შეეჩვევიან ხელობას. „ამით მოსწავლეები გარდა იმისა, რომ ტყუილ ხეტიალში ნასაღილევს დროს არ გაატარებენ, ფიზიკურათ ივარჯიშებენ და ისინი, ვინც სწავლის არ აგრძელებს, ხელობას შეისწავლინ ცოტათ და ეს ცხოვრებაში გამოაღვებათო“. კომისიას საუკეთესოთ უცვნია საღურგლო განყოფილების გახსნა.

აი უმთავრესი მოსაზრებანი, რომელიც გამოთქმულია
მოხსენებაში.

გარდა ამისა, კრებაზე გამოიტქვა ის საგულისხმო. ასრუ, რომ პირველ დაწყებით შეკლებში საპატიო ადგილი და- თმოს სამშობლო ენასაო. რომ ეს ლიდმნი შენერთვაშემანერ, უარის ლაპარაკიც ზედმეტია, მხოლოდ უნდა ვისტრავოთ, ჩატუნები ძლება აღრე რომელიმე გზით ეს აზრი განხორციელდეს.

საზოგადოთ, სასურველია ამ გვარ კრებაზე გამოიტქმულ აზრს მიექცეს ყურადღება და ოვით კრებები ხშირათ იმართებოდეს, რაც დაწმუნებული ვარ, პირველ დაწყებით სკოლებში სამოსწავლო საქმეს შესამჩნევათ წინ წასწევს.

d. h.

დ. ხონი. ხონის შეოღებს ამ სამოსწავლო წელში კიდევ
მოექმატა ერთი შეოღა. გაიხსნა ერთ კლასიანი შეოღა - ქილ-
თათვის და მოსწავლე ქალთა მომატებისთანავე გადაკეთებულ
იქნება ორკლასიანათ.—დიახ, სკოლებთა რიცხვი დ. ხონში
დღითი დღე იზრდება, კიდევ უფრო მატულობს სწავლის მსუ-
რველთა რიცხვი. არიან ისეთები, რომლებს სულით და გუ-
ლით უნდათ შეისწავლონ არიოდე „ანბანი“ მაგრამ მათ ასეთ
მისწრაფებას გადაღობებია წინ უსახსრობა, შეუძლებლობა,
უსაშვალობა! ამ სწორეთ ამ უსახსრო ადამიანთათვის არის საჭი-
რო საკვირაო შეოღა: მაგრამ მარტო არსებობა შეოღლი-
სათვისროდის ყოფილი საკმარისი, არსებობასთან ერთათ სა-
ჭიროა მოქმედება, და იმ სწორეთ მოქმედებაზე არის მწყო-
ლათ ხონინ საკვირაო შეოღა! აგრე ნოემბერი სრულდება და
ჩვენ საკვირაო შეოღის ხელმძღვანელთ კი ჯერ არ დაუწყით
შეოღაში მუშაობა. ნეტა რამ გამოიწვია ამ კეთილ უსახსრო
ხალხის აღმზრდელი შეოღის უმოქმედობა, ძილი, და უმცროს
მოძმესადმი გულგრილობა!

ხონელებს გვქონდა საზაფხულო თეატრი, მაგრამ ეს თე-
ტრი ეკუთვნოდა კერძო პირს დაწელს საზაფხულო წარმოდგენ-
ბის დასასრულო თეატრის პატრონმა თეატრი სრულიად დაგვინგ-
რია. დრო კი ხონელებმა ვითქიქროთ ერთ საზოგადო სახლის აგე-
ბაზე, საღაც შეძლება გვექნება წარმოდგენბი ვმართოთ, წრე დავა-
არსოთ, კრებები მოვახდინოთ, მარტო წაგნო საცავის სახლის ქირა
გაგვიდის წელიწადში 90 მანეთი. — სიღატაკეში დაბადებული
ხონის სამკითხველო დღესაც სიღატაკეს განიცდის. შემა-
ხველი წევრები სამკითხველოს ძალიან უოტა ყავს, და ვინცა
ყავს, იმის ერთნაწილს სრულიად არ შამოაქვს საწევრო ფუ-
ლი, და თუ შამოაქვს, არათავის დროზე და თავის რიგზე. —
გავმართოთ წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოთ, მაგრამ
წარმოდგენამ ჩვენ ღატაც სამკითხველოს რაღაც სამათხოვრია
27 მანეთი დაუტოვა. სირცხვილი კი შეძლებულ დაბისათვის
ერთი სამკითხველო არსებობდეს და ისიც არ იყვეს სასურველ
ნიადაგზე დაყენებული!

ქვემო იმერლები და მათ შორის ხონელები ვუქმობთ
8 ნოემბერს, „მიქელ-გაბრიელობას“. — ამ დღეს ქვემო იმერლების სოფლებიდან მოდის აუარებელი ხალხი დ. ხონის შაბლობლათ მდებარე პატარა სოფელში, სადაც აგებულია ტაძარი მთავარ ანგელოზ „მიქელ გაბრიელის“ სახელობაზე, — ყველას მამალი მოყავს, მოუახლოვდება თუ არ ტაძრას, თვითეული მათგანი რაღაცას წაილულულებს, შემოივლებს მამალს თვზე და გაუშვებს. — პატარა ყმაწყილები კომბლებით, ქვებით ხელში დაედევნებიან საცოდავ მამლებს, დაუვერავენ, დაამტვრევენ და დაიჭრენ, ხშირათ დაჭერის დროს კიდეც კლავენ. ამ გვარათ ამ დღეს აწვალებენ ჩამოდენიმე ათას მამალს. რისთვის ხდება ეს ასე?! იმისთვის, რომ კერპო-თაყვანის ცემას, ცრუ-მორწმუნოებას ჩვენ შორის კიდევ გასავალი აქვს, და მათ მოსპობისათვის არავინ ზრუნავს. პირიქით ჩვენი სულიერი მამები ითდა: სარა იმოლობან მოი-

ხომის უშეტეს გლეხ-კაცობის ერთათ-ერთი მასაზრ-
ობებით წარმო ავ და არის სიმძინის მასაზრი 2-2

ამ წელს ეს ერთათ ერთი წყაროც განახვრდა.—უმიღობამ და აქედან წამომდგარმა სიმინდის სენმა: მატლმა, პეპელმა, ჩიყვამა სულ ერთიან გაუქარწყლო მთელი გაზაფხულის და ზაფხულის შრომა წვრილი ცოლ შეილით დატვირთულ შშრომელ გლეხ-კაცობას.—წინეთ ქვემო იმერეთიდან და სახელდობ დ. ხონის ბაზრიდან რამდენიმე ათი ათასი ფუთი სიმინდი გადიოდა სხვა ქვეყნებში გასაყიდათ. წელს კი ისე დაცუა სიმინდის მოსავალი, რომ სხვა ქვეყნებმა აქეთ უნდა მოგვაწოდონ. მოუსავლობამ მეტის მეტათ ჩააფიქრა, გლეხ-კაცობა, და ბევრი მათგანი გადახვეწა ქალაქებში ფულის საშოვნელით.

პარასკევი არ გავა ისე, რომ ერთი საგმირო საქმე არ მოხდეს ხონის ბაზრში. ამ დღეს ან დაჩეხენ ვინმეს, ან რევოლვერით დახვრეტენ, ან ჯონით, ქვით მძიმეთ გალახვენ. თითქმის ყოველ პარასკევს ხონის ქუჩები მოირწყვება სისტო. და ადგილობრივ პოლიციას დღემდის არაფერი უდრნებია ამ უწესობის მოსასპობათ. დრო კი მიხედოს!

ხონის ბაზრისათვის დიდმნიშვნელოვანია ხონის და სამეგრელოს შეუ ჩამომდინარე ცხენისწყალზე ხიდის გაკეთება.—ხიდის გაკეთების შემდეგ მთელი ცხენისწყლის გაღმა მდებარე სამეგრელოს სკოლები ხონის ბაზრს მოაწყდებოდა, და მით ალებ-მიცმობა გაფართოვდებოდა. ხიდის გაყვანაზე დიდი ხანია აღძრულია კითხვა, და კარგი კი იქნება რაც შეიძლება მალე დაგვირგვინონ საქმის მოთავეებმა მათ მიერ აღძრული კითხვა.

დიდი ხანია, რაც აღიძრა კითხვა, ხონის და ქუთაისის შეუ კონკის გაყვანის შესახებ. დღეს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, კონკის გაყვანის უფლება მიუღია ერთ კერძო პირს.—ახლა უფლება გვაქვს კონკის გაყვანის, მაგრამ მის მოსაწყობ და გასაყვან თანხაზე, თურმე ეს უფლების პატრონი კერძო პირი მწყრალათ არის!—რა დარჩენია ამ უფლების პატრონ კერძო პირს?! თავისი უფლების რომელიმე კაპიტალისტისთვის მიყიდვა, ან ამხანაგობის შედეგია და ამხანაგობის თანხით კონკის გაყვანა! ჩემის აზრით, ჯობს შესდგებოდეს ამხანაგობა, და ის გაიყვანდეს კონკას. კონკა ორთქლით მავალი იქნება, საათში გაიყვანის 30 ვერსტს. დღეს თუ ქუთაისის და ხონის შეუ აღამიანს მგზავრობა ერთი მანეთი უჯდება, მაშინ დაუჯდება არა უმეტეს ექვსი შაურისა. გამოანგარიშებით ხონიდან ქუთაისში ჩასვლა დაუჯდება აღამიანს შემდეგ ფასით: პირველ კლასით შიმავალს 40 კაპ., მეორეთი—25 კაპ., მესამეთი—10 კაპ. ვუსურვოთ ამ საქმის მალე დაგვირგვინება.

ილია ბახტაძე.

დ. სამორჩილი (იმერეთი). „კარგი რამ მჭირდეს გიყვირდეს, ავი რა საკეირველია“—ო, ამბობს საყვარელი მოსანი. სწორეთ ზედ გამოკრილია ეს სიტყვები ჩვენს უბადრუკ დაბაზე. კველგან ცდილობენ ცოტათ თუ ბევრათ სინათლის სხივი შეაშექონ თავიანთ დაბა-სოფლებში, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, თავიანთ მოძმის ბნელით მოცულ გონებაში. სამტრედიაში კი კველა იმას ცდილობს, რაც შეიძლება, ისაგებლოს თავისი მოძმის უვიცმით, ისარგებლოს და მეტი წაგლიჯ-წართვას, რაც აქაურ სხვისის ოფლით ქინდრგასუქებულ ვაკრებისათვის არ ახალია, ძველია. ამ ბოლო დროს დიდის ვაი-ვაგლახისა და თავის-მტვრევის შემდეგ, როგორც იქნა, დაარსდა სამტრედიაში საკვირაო შეკოლა, რომელსაც გახსნისთანავე აუარებელი მოსწავლე მიაწყდა ქალი და კაცი, მაგრამ ჯერ ვინ იცის ახეირებენ თუ არა აქაური ბობოლები ამ კულტურულ დაწესებულებას. თავტრის შესახებ ხომ არც კი ლირს ლაპარაკი, რადგან დიდი ხანია მარხულობს აქაური საზოგადოება თეატრს. არავინ არ კისრულობს ამ ფრიად სიმ-

პატიურ დაწესებულების დაარსებას. ამას წინეთ რცხომის უკუკულში“ სამტრედიან კორესპონდენცია მოეფავებია ვიღაც სანდროს, რომელშიაც აღტაცებით ამბობდა: უფრო უფრო უსაკრებო დაიქირავა დაბის ბოქაულმა წელიწადში გრილის და საცენტრო სიცენტრის მოწყობაც შეგვირდი ბ-მა ლოსაბერიძემი“. ის სწორეთ ამაზე იტყვიან „ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდენ“. ნეტავი საიდან შეკრიბა ბ-მა სანდრომ ესეთი ცნობები? მართილია, ლაპარაკი იყო თეატრის სახლის დაქირავების შესახებ, მარა ისიც კანტი-კუნტათ, გადაწყვეტით კი არაფერი გადაწყვეტილა.—აქ ბევრი არიან ქველ-მოქმედნი, მარა თავისებური თვისების. ის მაგალითად ერთმა აქაურმა ვაჟბატონმა ორიოდე ოთხ-კუთხი საეჭნი ადგილი შესწირაორ-კლასიან სამინისტრო სასწავლებელს ეზოს გასაფაროთვებლათ და სამაგიეროო 1200 მანებით ასწავნა დაბის შემოსავალი ფული. თუ ვარგან ჩვენი ქველ-მოქმედნი, საკეთებელი ძალიან ბევრია. თუნდ აქაური სამკითხველო. ის ისეთ ადგილს არის გადატანილი, რომ თუ ერთი კი გადმოშევთა, მისვლა აღარ შეიძლება უნავოთ, ისეთი ტბა დგება სამკითხველოს წინ. ნუ თუ სამკითხველო მხოლოდ იმისთვის გვაქვს, რომ შეიძრულება და გამგებ თავისუფლათ ისაუბრონ ცხრა თავიან მდევებზე. მათ ხომ ასე ძლიერ უყვართ ძველი, და გაურბიან ახალს...

რონი! პირელი.

რ უ ს ე თ ი 0

ქალთა კითხვა და მათ უფლება— მითი შევაწროვება.— მოსატოტუცია.— მისი მიზენები, მიმო მისიან და რადიკალური დამსისხევა— ანი. — პეტერბურგის ღარიბ სტუდენტთა დამზადებელი საზოგადოება.— მისი უნუგეში მდგრადისტია.— სტუდენტების გაქირება და 264,000 განეთი. — ცვერის ერობის კრების სამკითხველო დადგენილება და თვის ყოფა.

ახალმა ცხოვრებამ ათას გვარი ახალი კითხვები წარმოშობა და წინ დაუყენა ახალ თაობას გაღიასჭრელათ. ერთი ამ გვარი საპატიო კითხვათაგანი არის ქალთა კითხვა. რა არის ქალი დღეს, როგორია მისი უფლებები და რა უნდა გახდეს ის შემდეგში,— აი ერთი იმ კითხვათაგანი, რომელიც მოელის დღეს რუსეთში თავისს გადაჭრას. რას წარმოადგენს ქალი დღეს? არაფერს. როგორია მისი უფლებები? მიწასთან გასწორებული. რა უნდა გახდეს ის შემდეგში? ყველაფერი. ქალი დღეს შევიწროებულია არა მარტო არსებული კანონებით, არამედ ის შევიწროებულია იმითაც, რომ ის ქალით გაჩნდა ქვეყანაზე. ის ვერ სარგებლობს იმ მცირე უფლებებითაც კი, რომლებიც მინიჭებული აქვს თვითოულ ჩვენგანს რუსეთში. მისი ცხოვრება იწყება ოჯახით და თავდება იმავე ოჯახით. ოჯახს გარეშე მისი ცხოვრება არ უნდა არსებობდეს. საზოგადო ასპარეზი მისთვის საჭირო არაა. მან მთელი თავისი სიკოცხე ბავშვების წიებილ-კიებილში უნდა გაატაროს, ოჯახის უფროსის ყურ-მოქრილი ყმა უნდა იყოს. / საზოგადო ასპარეზი ეს მისი კერძო, საზოგადო მოღვაწეობა თავის შეილების გარშემო ტრიალია. მისთვის სხვა იდეალი არ უნდა არსებობდეს და ქარიც მაზე მუდამ უნდა ბრძანებლობდეს. ასეთია ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომლის ნაყოფია დღევანდელი კანონი ქალების შესახებ. ძველი კანონის ჩარჩოში მოწყვდეულია ახალი ქალი, რომელსაც აინტერესებს ყველაფერი ახალი, ახალი ცხოვრება, ახალი იდეალი. უნდა გაინძრეს, თავისუფლათ ამოსუნთქმას, მაგრამ ის ვერ გაინძრევა ისე, თუ არ მიამსხერ-მოამსხერია და თუ არ მილენ-მოლენშა თავისი გარშემო ყველაფერი. მაგრამ ის მაინც შეინ-ძრა, შეარჩია ის ზღუდეები, რომლითაც ის შებოჭილი იყო. საზოგადოებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომლის

ჭანს, შეც ადამიანი ურათ შინდა კ ც ც ვ რ თ. შეც ისე შინდა ქმარის ბატონიას თავი დაკახწით, როგორც ჩემ ქმარს უნდა ისატონოს ჩემზე.

ყოველგვარი საზოგადოებრივი კითხვა საზოგადოებრივ აუცილებლობისაგანაა გამოწვეული და მისი გადაწყვეტი და გადაჭრა ამავე აუცილებლობის კანონს ემორჩილება. ქალების იურიდულით გათანასწორება კაცებთან ეს აუცილებლით უნდა მოხდეს. ამ გათანასწორების თავიდან აცილება ყოვლით შეუძლებელია და მოსახლეები რაც ადრე მოხდება, მით უკეთესია. მით უკეთესია, მაგალითად, როცა მშობლების უძრავ-მოძრავ ქონებიდან ქალსაც იმდენი მიეცემა, რამდენიც ვაჟს ეძლევა. უკანონობაა, როცა ქალს მთელი უძრავი ქონების მხოლოდ მეთოთხმეტედი ეძლევა და მოძრავ ქონებიდან მერვედი, რაც დღეს ხდება. და ეს ერთი ანორმალური მხარე ქალთა უფლებრივათ შევიწროებისა პირველ ადგილზე დაყენებული და დღეს თუ ხვალ ის უსათულო უნდა გადაწყდეს დღევანდელ კანონმდებლობაში.

ამ რამდინიმე წლის წინათ შესდგა კომისია, რომელსაც მინდობილი ქონდა წარმოედგინა თავის აზრი და შეხედულება ქალების და კაცების სამეცვიდრეო უფლების შესახებ. კომისიას ახლა დაუსრულების თავის მოქმედება და წარუდგენია პროექტი აღძრულ საკითხის თაობაზე. მეოთხე წიგნის მეთხუთმეტე მუხლში ნათქემია: „მდედრობითი და მამრობითი სქესის პირები თანასწორ მემკვიდრეებით ითვლებიან“. როგორც ხედავთ, პროექტი ანიჭებს ქალს თანასწორ მემკვიდრეობითი უფლებას კაცთან შედარებით. მაგრამ პროექტსა და კანონს შორის ყოველთვის დიდი განძილი ყოფილი და არის გავლებული. დაამტკიცებენ მას, თუ არა, ვინ იცის. ხოლო ის კი აშკარაა, რომ 1864 წელს აღძრული იყო სწორები ამ გვარი საკითხი ქალთა უფლებების გაფართოვების შესახებ. მაშინაც გამოთქმული იყო ის აზრი, რომ ქალთა მემკვიდრეობის უფლების შესახებ არსებული კანონი „არის არა ბუნებრივი, უსამართლო და ვერ აქმაყოფილებს სახელმწიფოს და საზოგადოების საკიროებას“. ამავე აზრის იყო მაშინდელი იუსტიციის სამინისტრო: „მემკვიდრეობით მდგომარეობამ არ უნდა იცოდეს სქესობრივი განსხვავება. ვაჟი და ქალი ორივე ერთნაირათ ძვირფასია მშობლებისთვის. ქალმა გატონრო თავიდან მონური ულელი. ის მონარიდი ახლა. ის ისეთი სრულ უფლებიანი არსებაა, როგორც კაცი. ამ მხრით ჩემი კანონმდებლობა მეტის-მეტათ ჩამორჩენილია ცხოვრებაზე“.

დიახ, ასე ფიქრობდა იუსტიციის სამინისტრო ამ ორმცის წლის წინათ და ასე ფიქრობენ ახლა, ორმცი წლის შემდეგ. ხოლო ფიქრს და ბჭიბას დასასრული არ მიეცა, პროექტების წერას საზღვარი არ ქონებია და უმაღლეს სფერაში ქალთა კითხვის გადაწყვეტა შეუძლებელი ყოფილა, მარტო სურვილი არ კმარჯებულა. სხანს ქალთა იურიდიულით შევიწროებული მდგომარეობა შეკავშირებული ყოფილი მთელ არსებულ წყობილებასთან.

* *

თანამედროვე არსებულ სოციალურ წყობილების ერთ უმთავრეს სნეულებათ თანამედროვე პროსტიტუცია უნდა ჩაითვალოს. რამდენიც დრო გადის იმდენათ პროსტიტუციაც ფქნებს იკიდებს და ვითარდება. მისი განვითარება,—ეს პროსტიტუქტების რიცხვის გამრავლებაა. პროსტიტუქტების რიცხვის გამრავლება ეს ზე დაცემულ და გარყვნილ ქალების რიცხვის გამრავლებაა. ზე დაცემულთა რიცხვი ყოველ დღე მატულობს. ცხოვრების ტალღები სულ ახალ-ახალ რაზმებს აღმოისრის ხოლმე პროსტიტუქტებისას თავის სიღრმიდან. დი ა, ქველ მოქმედების მოყვარულთაც იშოვეს საქმე. თუ

პროსტიტუცია ამ პროპორციით განვითარდა, კარა ჩვეულებრივ დღეს ჩემი ქვეყანა როსკიპებით აიგვება. არიქა დროზე მივეშველოთ, და აღვავოთ იგი პირისაგან ტერიტორიული კაცობრიობას განადგურება მოელისო. და უწევდა კაცობრიობის დახსნას განსაცდელიდან—პროსტიტუციის აღმოფხვრას. ააგეს როსკიპებისთვის თავ-შესაფარი; დააირეს დაშმირე საზოგადოებანი, მგრძნობიარ ნერვების მექანიკ აღმანები კერძოთაც დიდათ სწუხან, მაგრამ ვერც ერთმა, ვერც მეორემ და ვერც მესამე საშუალებამ პროსტიტუციის განვითარება ვერ შეაჩერა. ის ისევ პროგრესიული ნაბიჯით მიექანება წინ და თავის კვალს ღრმათ აჩენს ცხოვრებაზე. ქველმოქმედებამ ის ვერ აღმოფხვრა, ვერც შეასუსტა, ვერც შეაჩერა. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. პროსტიტუცია სოციალური მოვლენაა. ის ღრმათ არის გადასკვნილი მთელ არსებულ საზოგადოებრივ წყობილებასთან. ის პირშო შვილია მთელი ბურუუაზიული ურთიერთობის. მოსკე მიზეზები და თავის თავათ მოისპობა მისი შედეგი—პროსტიტუცია. კაპიტალიზმის განვითარებას თან დასდევს პროსტიტუციის განვითარებაც. კაპიტალიზმი მთელ ქვეყნას მოედოდ და პროსტიტუცია.

შევილ კაპიტალისტურ წარმოების განვითარება ათასობით უსპობს წვრილ მესაჟურეტ თავის დამოუკიდებლობას წარმოებაში და ყველას გაპროლეტარების გზაზე იყენებს, ყველას ფაბრიკასა და ქარხნებში ერეკება დღიურ მუშაო. ხოლო ფაბრიკა და ქარხანა ყველა მომუშავეთ ვერ აქმაყოფილებს: უმუშევრათ დარჩენილთა რიცხვის გამრავლება გაცილებით წინ უსწრებს ფაბრიკებისა და ქარხნების გამრავლებას. კაპიტალისტურმა წარმოებამ გააძნელა და გაართულა ცხოვრება. მუშას მისი საკუთარი თავიც ძლიერ ურჩენისა და ცოლშვილი, ოჯახი, დედა, მამა, დები როგორ აჩინოს; იქ ქალიც, ცოლიც, დედაც იძულებული ხდება თავის სამუშაო ძალა გაპირობებს და აღებული ფულით თავი ძლიერ ირჩინოს. ის მიდის ფაბრიკაში და მუშაობს. მაგრამ როგორც ამ წაშში ვთქვით, ფაბრიკა ყველა სამუშაოს მაძიებელ ქალებს ვერ უშოვის აღგილს. ის მიდის მოახლეოთ, მრეცხელათ, გამდელათ, ძინათ, „კუხარკათ“. მაგრამ მოახლეების აღგილი დაცერილია, არც ძინა და გამდელი ესაჭიროებათ. სამრეცხელოში მრეცხელი ქალები თავზე საყარათაა. არც „კუხარკა“ უნდა ვინმეს. გუშინ რომ კუხარკას იჭერდა, დღეს ის თითონ მიდის კუხარკათ სხვასთან. ახალგაზდა, გაუთხოვარ სიცოცხლით სახე ქალს დაუკეტს ყველგან კარი; ვერსათ მან ვერ იშოვნა აღგილი, რომ იშრომის პატიოსნათ და მით სული დაიპუროს. აბა რა უნდა ქნას მან, რა დარჩენია? მოკვდეს ულუკმაპუროთ? მაგრამ სიცოცხლე მაინც ტკბილია, რაც უნდა საზოზლარი იყოს იგი. მიმართოს რომელიმე ქველმოქმედის? მაგრამ იქ ეტყვიან: შენისთანა გაჭირებული იქ დღეში ათასი მოდის და ყველას დაქმაყოფილება აბა როგორ შეიძლებათ. წავიდეს უფასო თავშესაფარში? მაგრამ იქ ხომ აუარებელი დახვდა მასავით გაჭირებული და მოწყალების მთხოვნელი. მიმართოს დედმამასი, ოჯახს? მაგრამ ოჯახმა კაი ხანია გააგდო ის თავის კერიდან: იქ უმცროსებიც შიმშილით სული დაფავენ. ძმას? დას?.. მაგრამ ისინიც ამგვარ ყოფაშია ჩავარდნილი. ყოველგვარ სალსარს მოკლებულს დარჩენია ერთათ ერთი საშუალება—გაყიდოს თავის ქალწულობა, თავის „წმიდათა წმიდა“. დიდი სულიერი ბრძოლის, დიდი სინდისის ქენჯნის შემდეგ ის თანხმდება თავის სხეულით ვაჭრობაზე. პირველ ხანებში მას მუშტარი ყავს, სანამ ჯერ კიდევ შერჩენია წითელი ვაშლივით ლოყები. მაგრამ ი ბოლოს, სახე დაჭენა, ვაშლივით ლოყები ჩამოელრა, პირის სახე დაგებრანჭა, თვალები ჩამორჩენა, კაპიტალიზმის დამატებული და ისიც ახალ უნდა... გადასაგდები გახდება.

და. ასეთია დასასრული როსკიპ ქალების, ასეთია დასაწყისი
როსკიპ ქალების. აქ შევიძლია ერთს, ორს, ათს დაეხმარო
და დაღუპვის გადაარჩინო, მაგრამ ასი, ათასი და მილიონი
მაინც დაიღუპება, ყველის ჩიოთრევს ცხოვრების უკუღმართო-
ბა. აქ შეიძლება ერთი ორი, ათი არ გაროსკიპდეს, მაგრამ
საყოველთაოთ ამის თქმა არ შეიძლება, უმრავლესობა, და
ღიღი უმრავლესობაც, მაინც ცხოვრების წუმშეში ამოყოფს
თავს, პროსტიტუციის აღმოფხვრა მაინც არ შეიძლება. ის
შედეგია იმის, რომ ბევრი ქალი პროლეტარი სამუშაოს ვერ
შოულობს. ასეთი მოვლენა კი აუცილებელი შედეგია დღე-
ვანდელ წყობილებისა, როდესაც მოისპობა ეს მიზეზები, მოი-
სპობა მისი შედეგიც. ერთათ ერთი ხსნაც მხოლოდ აქეოკენაა.
პატეტიური სიტყვები საჭმეს ვერ შევლის... მოელი რუსეთის
შეგნებული ქალი და კაცი ამ გზისკენ უნდა გაექანოს და
ქველმოქმედებას უებარ წამლით ნუ დასახავს.

„ჰუტერბურგის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადობა“. საზოგადოების წლიური კრებაა. „საზოგადოების“ საქმე ძლიერ ცუდ მდგომარეობაშია... ნათქვამია ანგარიშის ფურცელში. „გაჭირვება მეტათ დიდია... დახმარება საჭიროა, აუცილებელია... საღსარი არსადაა... საწევრო ფული ნაკლებათ შემოდის. ახალი წევრები ნაკლებია. მოწოდება არაფერს ხდება... მდგომარეობა უნუგეშოა“. ასეთია სურათი საზოგადოების მდგომარეობის, მაშინ როცა აუარებელი ღარიბი სტუდენტია მისი შემხედვარე, აქედან ელის სწავლის და ოთახის ქირის გასტუმრების, აქედან ელის სასადილოს ვალის გადახდის. მაგრამ ის ტყობილობს რომ საზოგადოება „უნუგეშო მდგომარეობაშია“, დახმარებას ვერ გაუწევს... სწავლის ქირის ვერ შეიტანს, გამოიგდებენ... ღიასახლისს ვერ გაისტუმრებს—სახლიდან გააგდებენ, სასადილოს ვალს ვერ გადახდის—აღარ აჭმევენ,—ასეთია ღარიბი სტუდენტის უნუგეშო მდგომარეობა... მაშინ, როცა ამავე საზოგადოების გავალებული ქონებია 264,000 მანეთი. ორას ხამოცუდა ოთხი ათასი მანეთი! ხუმრობაა! მერე ვისზეა ეს ამდენი ფული მისესხებული? იმათზე, ვინც სტუდენტობის დროს უნუგეშო მდგომარეობაში იყვნენ და დღეს კი ფუფუნებასა და განცრომაში ატარებენ დროს; ესენია ვინც, სიმწრით დაასრულეს უმაღლესი სი სწავლა და ახლა კი წინანდელი სიმწარე დაავიწყდათ, ესენია—ვეჭილები, ექიმები, ინჟინრები, მოსამართლები და მასწავლებლები. როგორც ხედავთ, თავი და თავი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, როცა მშერ-წყურვალი იყვნენ ყველაფერი ახსოვდათ: ამხანაგი და მეგობარიც. დღეს, როცა კისრამდე არიან ავსული, სადღაა ან ძმა, ან მეგობარი. მშარე წარსული დავიწყებას მისცეს, რომ დღევანდელი ტკბილი არ ჩაუმჯარდეს. მათ გარშემო არ არსებობს არც შიმშილი, არც წყურვილი, არც სიცივე, არც უნივერსიტეტიდან გამოგდება. რაღანაც მათ არც შიათ, არც წყურიათ და არცა სცივათ. მათში გაქრა ყველაფერი, რითაც წინეთ, სტუდენტობის დროს ამაყობდენ კიდევც. მათში ჩაქრა აღამიანური ვრძნობა, გრძნობა გაჭირვებულის დახმარებისა. მათში ჩაქრა ის უწინდელი მაღალი, სპეციალი ზნეობა, როცა ფიქრობდენ: ოღონდ უნივერსიტეტი გავათავოთ და მერევალების გადახდის და სხვის დახმარების მეტს არაფერს ვიზამოო. მათში ჩაქრალი სინდისი, როცა ნასესხებს ღარიბ საზოგადოებიდან, შეძლება აქვთ და არ ისტუმრებენ. ზნეობრივ ვალდებულობას რომ თავი დავანებოთ, იურიდიულათ ისინი ვალდებული არიან ვალი შეძლების დაგვარათ გადაიხადონ. იურისტებო! მსაჯულებმ! ექიმებო! მასწავლებლებო! აბა, დაეკითხეთ თქვენ თინებს, რას ჩადიხარო?

ტვერის ერობის კრებამ ერთი გასაოცარი საქმე ჩაიდანა
და მით მთელი რუსეთის გაზეთებს სალაპარიკო საგანი გაუჩი-
ნა. მოგეხსენებათ, რომ ერობას თუ თავის უფლებელი წარკუთხული
ლი კიდევ შერჩენაა, ისევ სწავლა-განათლების სტუდიის მიზანი და
სებდა სკოლებს და თეოთონ ინახევდა. უნდოდა გახსნიდა ახალ
სკოლებს, უნდოდა ძველებსაც დახურევდა. და თუ რუსეთის
ერობამ რამე სარგებლობა მოუტანა რუსეთის. ხალხს, ისევ
სკოლების სიმრავლით და მათში სწავლების საქმის ისე თუ
ისე კარგათ დაყენებით, რასაკვირველია, სამინისტრო და სამ-
რევლო სკოლებთან შედარებით. ტვერის ერობის კრებამ აიღო
და მთელი სწავლა-აღზრდის საქმე მთავრობას ჩააბარა: ჩვენ
ამ შეგვძლებია ამ როული საქმის გაძლოლა და ისევ თქვენ
გებარებოდეთ ჩვენი ბავშვებიც, მათი აღზრდაც და სწავლე-
ბაც. ესეც ერთგვარი მოღვაწეობაა!..

গুরুবেণু প্রকাশনা

ରୁଷ୍ୟାରେ ନିର୍ମାଣିକାରୀ ଏକ ଦେଶ ହେଉଥିଲା ।—ନାମନାମ ଓ ଜୀବନରେ ।—ମାତ୍ରାରୁଷ୍ୟା ।—ନାମନାମର କର୍ମକାଳୀନ ପରିବାରରେ ।—ନାମନାମର ପରିବାରରେ ।

აღმოსავლეთიდან თოფის წამლის სუნი მოსდის, ორ თვეზე
ზე მეტია ყველას ყურადღება იქითკენაა მიპყრობილი, მე
და შენ კი, მკითხველო, ჯერ ამ საგანზე არ გვისაუბრია,
სჩანს ჩვენ ამისა არა გვცხელა. მართლაც რაა იქ ჩვენ-
თვის, რას მოვციტანს ის ჩვენ? შეიძლება არაფერი, მარა
შეიძლება ბეჭრიც მოვვიტანოს. ყოველ შემთხვევაში ეს
დიდი საზოგადოებრივი მოვლენაა და მისი უყურადღებოთ და-
ტოვება არ გვპატივება. მაში მიეხედოთ მას. მთელი აურ-
ზაური, შეხლა-შემოხლა პატარა კორეის და კარგა დიდი მან-
ჯურის გამოა ატეხილი. კორეის პატარა ნახევარუნდული
უჭირავს და გარშემო სამი მხრით რუსეთის სამულობელო არ-
ტყია. მანჯურია კიდევ რუსთის მოსაზღვრე ქვეყანაა, სადაც
მთელი რეინის გზაც კი აქვს გაყვანილი რუსთს, და ვაჭრო-
ბას ეწევა. ასე რომ ეს ორივე მხარე მისთვის საჭიროა. მრე-
წველთათვის აქ ფართო სარბიელია კაპიტალის გამოსაყენე-
ბლათ და ჯიბების გასასქელებლათ. მარა რუსეთის ასეთ ინ-
ტერესებს პატარა იაპონიის ინტერესები ხვდება წინ.

ეს ახალგაზდა სამუშაო ამ უკანასკნელ დროს შესანიშნავი სისწრაფით გაიზარდა, გაღონიერდა შიგნით, განვითარდა და თავის კანში ველარ ეტევა. მისთვის საჭიროა ახალი ბაზარი, ახალი სავაჭრო პუნქტები, ის კუნძულზე ჯერ მოთავსებული და უნდა დიდ ხმელეთზეც ფეხი მოიდგას. ამისთვის კი მას კორეები ში სრული უკანტროლო, უცილობელი ბატონობა სჭირია, გან- ჯურიაშიც თავის გავლენის განმტკიცება უნდა. ასეთსავე ვა- ჭრობის უფლებას ეძებს ინგლისიც, ამერიკაც. ყველა ამათი ინტერესები ერთი მეორეს ეჯახებიან და ამ ჯახუნიდან ხში- რათ საშინელი ხმაურობაც დგება, ისეთი ხმაურობა, რომ გეგონებათ, ეს ეს არის, ორივე მოწინააღმდეგები შეეტაკებიან და სასწორ-სამართლს ხმალს მიანდობენ. ორივე მოპირდა- პირე სახელმწიფოები ერთი მეორის გაჯიბრებით ცდილობენ სადაც ადგილიდან რაც შეიძლება მეტი თვით დაინარჩუნონ, ხოლო მოწინააღმდეგს დაჭერის უფლება არ მისცენ. რუსეთმა მდინარე იალუოს ნაპირზე ერთი ნავთსადეფური იონამპო და- საკუთრა და შიგ თავის ჯარი ჩაიყენა. ამან გააცეცხლა იაპო- ნია, და მისი მეგობარი ინგლის-ამერიკა, რომელნიც ამ შემ- თხვევაში საუკეთესოთ ხედავენ იაპონიის მხარის დაჭერის, რომ რუსეთის გაელენა შეისუსტონ აღმოსავლეთზე, და ყვე- ლამ რუსეთს პროტესტი გამოუცხადეს. ისინი თხოვლობენ, იონამპოში ვაჭრობის უფლება მათაც ქმნდეთ, ისე როგორც რუსეთს, ესე იგი მათ მოითხვეს არა დაჩაგრულ სახელმწიფოს

(ამ შემთხვევაში კორეის) ინტერესების ხელუხლებლათ დატოვება, არამედ მათთვისაც რიგიანი ლუკის მიცემა. კორეის ორ ცეცხლ შეაა ჩავარდნილი. რომელ ერთს მიემხროს, ვისი მოთხოვნა დააქმაყოფილოს? რუსეთის? მარა სხვა სახელმწიფოები ემუქრებიან. სხვა სახელმწაფოების? მარა რუსეთის ჯარი საზღვარზე ადგია და სრულ განადგურებას უქადის; და არის ასე გაჭირებული: ხან ერთს ემხრობა, ხან მეორეს. ორსავე სკამზე უნდა იჯდეს, მარა შეძლებს თუ არა ამას, ამაზეა დამკიდებული მისი მომავალი არსებობა...

* *

მეორე საკითხი მანჯურიას შეეხება. საბრალო ცის ქვეშეთის იმპერიის არაფერი ეშველა, ევროპის ქინჩის და წერვას თავი ვერ დაახტია... ჩაუკეტია კარები და არ უნდა ვინაშე მიიღოს, ჩემთვის ტკბილი ცხოვრება მაქვს, მომასვენეთო. მარა რომ არ ასევენებენ! ევროპა კაპიტალით აივსო, ბაზარი აღარ არის, საქონელი ველისად გაუსალებით, და კაპიტალისტები დაძრწიან ქვეყნის ყოველ კუთხეში, ეგვე საღმე საქონელი გავასალოთ, კაპიტალი ავამუშავოთ. და იპოვეს ჩინეთი... რუსეთმა მანჯურიაში რკინის გზა გაიყვანა ვაჭრობის უმჯობესათ წარმოებისთვის, ხოლო რკინის გზას, როგორც იაპონელი გაზეთები ირწმუნებიან, ჯარი მიაყოლა იმიტომ, რომ მთელი ეს მხარე ხელთ იგდოს და სხვა ქვეყნების კაპიტალისტების კლანჭებიდან დაძრწის, თავის კაპიტალისტების ლუკმა გახადოსო. ერთი სიტყვით, თუ რუსეთმა მანჯურიაში ფეხი მოიდგა, მთელ აღმოსავლეთის ვაჭრობა-მრეწველობას ხელში ჩაიგდებს და ჩვენ, მის ახლო მეზობლებს, გუდა-ნაბადს აგვა-კრევნებს...

როგორც ხედავთ, აქ დიდი ბრძოლაა გამართული ბაზრის, სავაჭრო პუნქტების მოსაპოვებლათ, აქ იბრძვის იაპონიის, რუსეთის, ინგლისის და ამერიკის ბურჟუაზიული საზოგადოება. ბურჟუაზიული პრესა ბუკა და ნაღარის სკემს; განსაკუთრებით იაპონია არ ცხრება. გაზეთები მუდამ მთავრობას ჩასჩინებენ, ლამის რუსეთმა ცხოვრების საღარი წაგვართვა და რაღათ გვინდა, ჯარი, კულტურა, გემები, თუ მას ვერ შევეტაკებით და სისხლით ვერ დავიცვავთ ჩვენი ჯიბის ინტერესებსო, იაპონიის ხალხი თხოულობს ომსო და სხვ.

* *

7 პროფესორმა მრავალი ლექციები დახარჯეს, ბევრი სიტყვები წარმოსთქვეს იმის შესახებ, რომ იაპონიის სახელი და დიდება აღმოსავლეთში მხოლოდ მით შეიძლება იქნეს დაცული. მათ თავის სიტყვები ცალკე წიგნათაც გამოცეს. იაპონელი მეზღვაურნიც მისი მომხრენი არიან და გაიძინან, საჭიროა ახლავე რუსეთს რმი გამოვუცხადოთ, ჩვენ შეგვიძლია პირველსავე შეტაკებაში მისი სამხედრო ფლოტი გავანადგუროთ და ამით ის საბოლოოთ დავამარცხოთ აღმოსავლეთში. ამათ ეთანხმება იაპონიის ფინანსთა მინისტრით ნამყოფი ვატანაბეც. ვატანაბე იმ აზრისაა, რომ ფინანსიური სისუსტე ამ შემთხვევაში მისი საწინააღმდეგო საბუთათ მოსაყვანი არაა. აქ კითხვა ეხება იაპონიის არსებობას, ან არსებობას, მის სახელს და დიდებას, და ნუ თუ ამისათვის ჩვენი ხალხი თავის ძალ-ღონებს და უკანასკნელ გროშს არგაიღებსო. ესე იგი, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, ჩვენ კაპიტალისტებს გაეოტრება მოელით, თუ კორეიის და მანჯურიის ბაზრები ხელთ არ ვიგდეთ, და ამისათვის ხალხის ჯიბის დაზოვვა ვის გაუგონია. მარა სულ სხვა გვარათ ფიქრობს თურმე თვითონ ხალხი. იაპონიაში, როგორც „ცნობის ფურც.“ აღნიშნა, ამას წინეთ მშრომელი ელემენტის წარმომადგენლებმა საერთო მიტინგი მოახდინეს, რომელზელაც და-ადგინეს: „ომი იაპონიის ხალხს მძიმე ტვირთათ დააწვება, ჩვენ კი საომარი არაფერი გვაქვს. მიმი გამანადგურებლათ მიგვაჩინია

ხალხის კეთილდღეობისთვის და ამიტომ მისი წინააღმდეგ ვართო. ბურჟუაზიული პრესაც კი ცხარობს, მთელი ხალხი მის წყურვილით არის შეპყრობილი და შევა სამცდლი სფერები კი გამაღებული თხოულობენ ომსგიგლი იმპერიაზე

ერთი სიტყვით იაპონია მეტათ ქერიაყრილია და ვაუკაციბის დარჩენა სწყურია. მთავრობა კი ჯერ ასეთ გატაცებამდე არ მისულია, ას საქმის მშვიდობიანით გათავებას ლამობს და დიპლომატიური მოლაპარაკება აქვს რუსეთთან. მშვიდობიან გზას რჩეობს რუსეთიც. მას ბვერი შინაური აწერილ-დაწერილი საქმეები აქვს მოსაწესრიგებელი, და ამიტომ არ შეუძლია მთელი თავის ძალ-ღონის აღმოსავლეთში მოკრეფა და მტრის დაცვედრა. რუსეთის გაზეთების სიტყვით მიმი არც მოსალოდნებლია და არც საჭირო, იმას მხოლოდ სისხლის ღვრა მოყვება, სარგებელს კი არ მოიტანს და ისინი ურჩევენ მთავრობას მშვიდობიანით გაათავოს შორეულ აღმოსავლეთის საკითხი... ასე ცვირიან გაზეთები... ცხოვრება კი თავის გზით მიდის, მრეწველობის ინტერესი პირველით ყოვლისა თავის ინტერესების დაცვას თხოულობს და ამისთვის ყოველი ღონისება მცირეთ მიგვაჩნია: დიპლომატიური მელაკუდობა, ტყვია წამლის სუნი, ჯარის ჩავანა, ერთი სიტყვით მთელი ერის ძალობნის ამ საქმეზე მოხმარა. და აღმოსავლეთიც ასეთ სურათს წარმოადგენს. იქ ერთი მხრით დიპლომატები ცხარე თათბირს ეწევიან, მეორე მხრით ჯარები საზღვარზე იკრიბება, გემები ნაეთსადგურებში იგზავნება, ყველაფერი საომრათ ემზადება და თან ირწმუნება, ომი არ მსურს, თუ ჩემი ინტერესი დაცულ იქნებათ... იაპონია და შეერთებული შტატესები თხოულობენ, რომ რუსეთმა მანჯურიიდან ჯარი გაიყვანოს და ეს მხარე, როგორც კორეი, ყველობის სუნი დასაპყრობათ და სხვ... დღესაც საქმე ასეთ მდგომარეობაშია. უკანასკნელი ცნობებით, იაპონიის მინისტრი კაცურა იუწყება, რომ მთავრობა სრულიადაც არ აპირობს იარაღის ხელში აღებას, მარა თხოულობს რუსეთმა შეთანხმების პუნქტებზე ხელი მოაწეროს. თუ ეს არ მოხდა, იაპონია არ დაიხეს ბრძოლის წინაც და თავის მოთხოვნილებებს იარაღით დაიცვს. მოლაპარაკებას კი, ჯერ ჯერობით მაინც, საკეთილო დასასრული არ ეტყობა. რუსეთი ჯერაც არ მიუცია პასუხი იაპონიისთვის კორეის შესახები კითხვებზე. კაცურას აზრით, თუ ამ საკითხის პასუხმა 23 ნოემბრამდეის არ მოუსწრო, მაშინ იაპონიის პარლამენტი შეიკრაბება და საქმე შესაძლებელია დიპლომატური მოლაპარაკებით ველი დათავდესო. ამასთან ტელეგრამების ამ უკანასკნელ დღეებში სულ ისეთი ცნობები მოაქვთ: მორიგებით რუსეთ იაპონიის საქმე ვერ და-თავდებათ. იაპონიის გაზეთები ამ ხმას იმეორებდენ და ითვლიან, შეგვიძლია რუსეთს გაფუმელავდეთ, თუ არაო. მათი აზრით რუსეთს მეტათ გაუძნელდება შორეულ აღმოსავლეთში ჯარის გადაყვანა და სურათის გადაზიდვა, ეს აუარებელ ხარჯს მოითხოვს და ფინანსიურ კრიზისს დაბადებს. რუსეთის ფლოტი ჯერ გამოუცდელი და სუსტია, იაპონიის კი საკეთილო შეიარაღებული გემები ყავს და ხელათ შეუძლია რუსეთის ფლოტის ზღვაზე განადგურება... ამასთან ვერ რუსეთის წინააღმდეგ ინგლისი და შეერთებული შტატებიც იმოქმედდებდნ, რადგან რუსეთის გაძლიერება მათ ვაჭრობასაც გაქრობას უქადის შორეულ აღმოსავლეთში. მიუხედავათ ასეთი განსაცდელისა რუსეთი მეტათ თავდებათ თემურათ იქცევა, არაფერი ერიცება და აშკარათ საომრათ ემზადებათ... ამაგრებს ნაეთსადგურებმა, უმატებს ჯარს, ეზიდება სურსათს და სხვ. თვითონ ეს თუ

ხალხი ერთმანეთს შტრული თვალით უყურებს. ამას წინეთ ჩემულპოში რუსეთის მეზღვაურთ და იაპონელებს ბაზარზე სულ უბრალოთ ჩხები მოუკიდათ და ერთმანეთი დაწილებს. ორივე მხრივ დაიჭრა რამდენიმე პირი.

* *

რალას აპირებს ჩინეთი? მუდამ აქეთ იქიდან წერვა გლეჯით მასაც ხმა ამოალებინებს და აალაპარაკეს. საზოგადოთ ჩინეთი იმდენათ სუსტათ გრძნობს თავის, რომ არც კი აქვს იმედი, რომ მის სიტყვის საერთაშორისო პოლიტიკაზე რაიმე გავლენა ექნება, თუნდაც ეს პოლიტიკა პირდაპირ მის სამფლობელოს შეეხებოდეს, და უცდის რუსეთ იაპონიის დიპლომატის მოლაპარაკებას. ისე კი თვის სიმპატიას ახლავე აცხადებს და ეს სიმპატია რუსების მხარეს არ უნდა იყოს. პირიქით ჩინეთი განვე უცქერის თავის ბუშბერაზე მეზობელს და მისგან ჩიყლაპვის ეშინია. „სანამ რუსის ჯარი იქნება მანჯურიაში“ სანამ მის რკინის გზის რუსი მოხელეები განაგებენ, მანამდი მანჯურიის ჩვენათ დასახვა არ შეიძლება, სწერს ჩინელი პატრიოტი ერთ მანდარინს: რუსეთის პოლიტიკა უკელის ერთნაირია. ჯერ მეგობრულათ შეგეპარება და შემდეგ გაგიბატონდება კიდეც, ამასაც არ დაგვერდება გარუსებას მოგინდომებსო. ასეთი ბედი მოელის მანჯურიასაც, თუ მისი ხელიდან მაღე არ გავათავისუფლებთო. ტელეგრამები იტყობინებიან: ჩინეთის ჯარი გენერალ მას წიმამდოლობით მანჯურიაში გაემგზავრენ რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოთო. ჯარს აფიცირებათ იაპონელები ეყალებათ. მარა ჩინეთი თავის თავათ ომის გამოცხადებას ვერ გაუბედავს რუსეთს, მას ამის შეძლება არა აქვს. მისი ომის დაწყებას შეიძლება მისი სრული დანაწილება მოყვეს ევროპის სახელმწიფოებ შორის, რომელიც დიდი ხანია ხარბი თვალებით მისხერებიან ჩინეთი, როგორც მსუქან ულუფია... პეკინში მცხოვრებ უცხოეთის ელჩებმა განაცხადეს, თუ მათ ატყდა, ჩვენ ვერ ვიკისრებთ უცხოელების დაცვას და უნდი ჯარი მოვიშველით, ხოლო ამის ხარჯს ჩინეთი ზღავსო... ეს კი ჩინეთს მოსპობას უქადის. რუსეთმა კი მანჯურიის თაობაზე ჩინეთს წინააღმდეგა მისცა, მანჯურიის მოხელენი ჩინეთის და რუსეთის ელჩის თანხმობით ინიშებოდეს; მანჯურიაში რკინის გზის გაყვანის და შეძნის უფლება გარდა რუსეთის ერც ერთ სახელმწიფოს არ მიეცეს, ფოსტა-ტელეგრაფში თრივე სახელმწიფოს მოხელეები იქნებიან, მათ შორის დავის კი რუსეთის ელჩი გადასწყვეტსო. თუ მათ ასტყდა, ჩინეთი რუსეთს უნდა დაეხმაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი მარტო იომებს, მარა სამაგიეროთ მანჯურიას თითონ დაიბყრობსო. ჩინეთმაც და იაპონიამაც ამაზე უარი გამოუცხადეს რუსეთს.

რუსეთი კი მანჯურიასაც არ ჯერდება, თუ მართალია „დაილი ნიუსის“ სიტყვები, რუსეთს შანკაი-გუანიდან ნიუჩუანამდე გაყვანილი რკინის გზა შეუსყიდია. ეს გზა ეკუთვნის ჩინეთ-ინგლისის საზოგადოებას, მარა ზარალის მეტს არას იძლევს თავის პატრიონებსო და ისინი სიმოვნებით მიყიდიან მას რუსეთსო. რუსეთს უნდა აქაც თავის ჯარის კაცები ჩააყინოს და ამ მხარეშიც თავის გავლენა გაავრცელოსო... ასეთია საქმის მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში.

მოხდება თუ არა ომი? იკითხავს მკითხველი. გადაჭრით ამაზე პასუხი შეუძლებელია, მე კი მცნია, რომ რუსეთის მთავრობა ყოველ ლონებს იხმარს, მთელ თავის დიპლომატიურ ძალს დახარჯავს, რომ ომი თავიდან აიცინოს, მო მისთვის მეტათ საგრძნობელი ზარალის მომტანი იქნება—მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება მან ომი გამართოს...

გრილოდ გამარი...

ოუმცა ჩემს გულს გარს ეხვევა
შხამ-ნალველის, სევდის ჯარი ერთოვენული
და შიგ რეკას სავალალოთ, გიგლიორის
ცრემლო საბნევით გლოვის ზარი;
მარა მე ხომ ჩემს კერძო დარღს,
ჩემს ვარამს და ჩემს ტერვილებს,
საქვეყნის ხომ ვერ ჩამოვკრავ
ჩემს საერთო ჩანგის სიმებს!..

თუმც ხანდახან სიხარული
ჩემს გულშიაც გაიელვებს
და დროებით გამიფანტავს
იქ დაბუდულ მწარე სევდებს,
მარა ჩემს ქნარს მას ვერ დავმდერ,
რაც მე კერძოთ შემეხება,
იმის სიმი, იმის ჰანგი
ერთისოვის არ დაიკვრება!.

მარა როცა ჩემ ყურს ესმის
დაჩაგრულთა მწუხარება,
მიწას ალბობს უმართლობით
დანადენი მდუღარება,

როცა მესმის მათი კვნესა,—
გულის მქენჯნი, სულის მდაგი,—
მაშინ მხოლოდ, მხოლოდ მაშინ
დაიკვნესებს ჩემი ჩანგი!..

და როს იმავ ჩაგრულების
მომავალი წინ მიღება,
უმართლობა, მტარვალობა
ვიცი მათგან ალიგვება,

როს ყურს მხვდება მათი გმირულ
წინ სვლის ხმები, ბრძოლის ჰანგი,—
მაშინ მხოლოდ, მხოლოდ მაშინ
დაიმდერებს ჩემი ჩანგი!..

კ. გოგოლაძე.

ილიკოს უგედურება

(მოთხოვთა ალ. ა—ების)

I

შაბათია. მოაღწია სანატრელმა საღამომ მუშა ხალხის-თვის, მიღებენ თუ არა ერთი კვირის ნამუშევარს, გაეშურებიან სახლისაკენ დაქანცულები, დალლილები. მაგრამ რაღაც სიხარული გამოიხატება იმათ სახეზე, ხვალ სამუშაოთ არ მივალთო. შრეიდერის ქუდის ქარხანაში იმავე სიხარულს გრძნებენ განსაკუთრებით პატარა შეგირდები. მაღალი, თოთხმეტი წლის ილიკო გაშლილი სახით და კეთილი თვალებით საჩქაროთ შენდის პატარა, რბილი ჩოთქით ქუდის.

ვილგელმ კარლოვიჩი შრეიდერი დღეს კარგ გუნდებაზე არ არის, სულ რაღაცს ბუტბუტებს გაჯავრებული და მიზებს ეძებს.

— ეი, ეშაკო! როგორ ალაგებ მაგ ქუდებს?—მივარდა ის გელი არმინით ულონო, პატარა ურის ბავშვს, მოშვას.

— თქვენ მე ძვირფას საქონელს მიფუჭებთ!.. მე თქვენ გიჩვენებთ!—მოშვა კი უყურებდა ქვეშ-ქვეშ თავისი ეშმაკური

თვალებით და ჩუქმებულა იცინოდა; თან ჯიბეში ილაგებდა მოპარულ ნაკრებს.

— სამუშაოს თავს ვანებებთ, სამუშაოს! — გიისმა მოელ
ქარხანაში. ილიკო გახარებული გამოვარდა ქუჩაში და გაე-
შურა თავის სახლისკენ, თავის დედმამასთან და დამბასთან.
ისინი ცხოვრობდენ ქალაქის განაპირას, ნოტიო სარდაფში.
ის მირბოდა, მეტვირა ცივ ქარისათვის თავის გაცეცხლებუ-
ლი სახე და თან ეხვეოდა დაგლეჯილ, სხვის გამონაცვალ პალ-
ტოში.

ილიკო გვიან მიერთა სახლში, რაღაც შორს იყო მისი
სახლი ქარხანაზე. მთელ ოჯახს ეძინა, ზოგი იატაჭე იყო
მოკრუნებული, ზოგიც კუთხეში ეცდო ძმნებში გამოხვეული,
მძინარე დედამ თავი წიმოყო და ნელის ხმით კითხა.

— ილიკონ ხარ, შენა?

— მე ვარ დედოლო. — ილიკომ მიწი-მოწია თავის მძინარე
ქმები და მოუწვა მათ გვერდით. გათენებისას გამოილვიდეს ოუ
არა ბავშებმა, შენიშნეს იატაკზე მწოლარე ილიკო, ისინი
მიახტენ იმას და უნდოდათ თვალები გაეხილათ მისთვის, ხან
თავში დაუწყეს ოტყმევა, ხან თმაში „ქიჩავი“, „გამოილვიდე ილი-
კო, გამოილვიდე!“ ყვიროდენ ბავშები.

ბავშები სიცივისგან იურუნჩხებოდენ, ძიგძიგობდენ. პნელი, ნესტიანი დილა ჩაყურებდა სარდაფში საუქმოთ მოწყობილ ოჯახს, იატაკი სუფთათ იყო მოწმენდილი. ბავშვები სუფთათ ეცვათ. ჩაინიკში ყავა იხარშებოდა. ბავშები მიუსხდენ მაგიდას, რომელიც სამ ფეხზე იდგა და აქეთ-იქით ქანაობდა. ყავაზე მოეწვიათ მრეცხელის, იმათ მეზობლის ქალი, კოჭლი საშა. სულ მოელო თოახი გავსებული იყო რაღაც თხელი ბურუსით. ეტყობოდა, ყველა იქ მყოფი ბედნიერი იყვენ. დღეს ხომ უქმედია, მამა არ მუშაობს, მისი ჩაქანი არ აეკუნებს თავის ერთგვარ მოსაწყენ ხმაზე, რომელიც გაისმის წულების უსლების დაჭვდის დროს. უფროსი და იულია ყავას ასხამდა, ის წმინდით იყო ჩატრული, ჩითის კაბა ამშვენებდა მის გამხდარ, კომწია ტანს, თმა კოხტათ ქონდა დავარცხნილი. ის რაოგანს ეჩურჩულებოდა თავის მეგობარ საშას.

— როდის იქნება, როდის მომიშატებენ? — ისმოდა აღელ-
ვებული ხმა იულიასი.

— მე უთუოთ დედილოს კაბას ვუყიდი შალისას, ერთ
დუქანში ვნახე, იმისთვანის. იულია აღელდა, მკრთალი სახე
კიდე უფრო გაუყვითლდა, ლოყებზე გამოჩნდა ორი წითელი
ხაზი; მან გულზე ხელი იტაცა, ყრუთ დაახველა და როდესაც
ცხვირსახოც მიიტანა ტუჩებთან, ზედ სისხლის წინწელი
ჭაპინდა; დაისვენდა იულიამ და ისევ განაგრძო ნელის ხმით.

— ჩვენი მექანიკები მოლიონერია... ბავშვებისთვის უკოლა ააგო, ექიმი გვყავს ქარხანაში, ახალი თეატრი გააკეთა, აქტიონები რომ თამაშობენ; ხანდახან იქ კითხულობენ... ჩვენ ნება გვაქვს დაექსტროთ უფასოთ. მე ერთხელ ვიყავი, მერე რა კარგ ამბებს კითხულობენ! მხ, რა მშენიერებაა!

— ავათმყოფობენ თურმე თქვენ ქარხანაში, მართალია? გააწყვეტინა საშამ.

— როგორ არა, ხშირად აეთმყოფობენ ყოველ ქარხა-
ნაში, თუთუნის, რეზინის; მაგრამ ჩვენთან მაინც ბევრი ხალხი
იღოვდება.

ილიქო მოვლი დღე ბრწყინავდა, სიხარულისაგან ფეხებზე
აღარ იდგა, ის ასე იყო მუდამ თავის დედ-მამის სახლში. ბავ-
შებსაც ეტყობოდათ კაცოფილი იყვენ, თამაშობდენ და ცელ-
ქობდენ. მაგრამ ისე მშეიღობიანათ არ დაღამებული ის დღე.
საღამოს ნაქეიფარი დაბრუნდენ სახლში* მუშები, რომელიც
იდგენ ილიკოს ოთახის გვერდით. ისინი სიმღერით, ყვირა-
ლით და მუზიკის კერით შეცვივდენ თახაში. იმათ თან შეუვა-
იოს კოს პატარა ძმა, პეტრო, რომელიც გაიტაცა მუსიკის ხმა.

მას დაუწყეს მთვრალებმა მასხრობა, თამაშობა. ამასთან გი
ბავში ატირდა. მის ტირილზე გამოვარდა ილიკოს დედა,
ბავშის ხმამ კინაღამ გავლიჯა მისი გული ნაშენდნენ და მი
ხმაურობაზე გამოვარდა იმ სახლის პატრონი ილიკოს დედა
გააბა კიუინი.

— რა გულს აწუხებთ, გადიოთ, გამეცალეთ! ფულს აღარ
იძლევით და თან გულს მიწუხებთ. გადიოთ, დამიცალეთ ოთა-
ხი მალე, თორებმ ქუჩაში გამოგიყრით თქვენ ხაბაკ-ხუბაკ...
საწყალი ნასტასია (ასე ეძახდებ ილიკოს დედას) მოსხლეტილი
და უშვა სკამზე, მწუხარე თვალით გადახედა თავის ოთახს, რო-
მლის დაკარგვა ემჩნეოდა, საშინლათ წყანდა. კედლები თბ-
მოკიდებული იყო, ოთახში დახშული ჰაერი იდგა, და მო-
მრგვალო ოხშივარი აღიოდა ყველაფერს. უშველებელი რუ-
სული ფეხი იდგა ცალ კუთხეში, ფანჯრებზე ჩამოფარებული
იყო ჩითის თხელი ფარდები, გარშემო მტვერი, სიმთვრილე,
გინება... აი ამ მოწყობილებაში იზრდებოდენ გამხდარი, დაჭლე-
ქებული ბავშვები უპავეროთ, უმზეოთ, მაგრამ მაინც ამ საკოდავი
კუთხის დატოვება ეძნელებოდათ.

II

საწერ ქაღალდის ქარხანა ვარანოვისა სრულ მოძრაობა-შია. უშველებელი ბორბლები მანქანისა ტრიალობენ, გროვა-გროვათ ჩვრები ვარდებიან ძირს. იქ ბორბლები ავლებენ მას თავის კბილებს, წეწენ, გლეჯენ... შემდეგ ისინი დიდ ქვაბებში იხარშებიან, სითხეთ იქცევიან, გადადიან მორგვებზე და ბოლოს გამტაეცილი ქაღალდი გამოდის საწერით გამზადებული... უკა-ნასკნელ ოთახში იატაკიდან ქერამდის ახუხულავებულია უშვე-ლებელი გროვა ფერად ნაჭრებისა. ეს სულ ის ნაჭრებია, რომ-ლებიდანაც აკეთებენ ქაღალდს, აქ ნაჭრებია ყოველი ფერის და ლირსების. რამდენი საინტერესო მაბავის თქმა შეუძლიან ამ მოზაიქას! ამ ჩვრების გროვას შემოსხდომია რამდენიმე ქალი: ბევრი ამათგანი ახალგაზდა, და ბევრი კი ბებერი; დი-დი ხანი არ არის ესენი სიცოცხლით სავსე იყვენ, და დღეს კი... სუყველა გაყვითლებული სახით და ჩავარდნილი თვა-ლებით გამოიყურება. ჩქარა მოძრაობს გამხდარი თითები მო-მუშავეების, ესენი არჩევენ ჩვრებს, კარგებს ერთათ უყრიან თავს და თხელებს კი მეორე გროვაში ურევენ. მტვრით მთლიან გავსილი აქვთ ყელი და ცხვირი, სული ეხუთებათ, ხან-და ხან მოუბრუნდებიან ერთმანეთს: წყალი, წყალიო! დამტვრეუ-ლი წყლით სავსე რკინის კრუშა ჩამოუარს თითო თითოთ ყელას. კაბიდან ხელებამდის და თმებიც გამსჭვალული აქვთ აქ მომუშავე ქალებს ამყრალებულის სუნით, რომელიც ჩვრებს უდის. აქ მუშაობს წყნარი და სუსტი იულია, ილიკს და. მისი გამხდარი თითები დაუსვენებლათ ცქრიალობენ ჩვრების კალათებზე. სახე ჩამოხმობია კიდე უფრო, ცხვირი დაწვრი-ლებია, თვალები ჩავარდნია. იულია მუშაობდა ძალაზე მეტს. ის კარგით გრძნობდა, რომ დასვენება ერთი სამი დღით მოუ-ხდებოდა, მარა არ შერებოდა. — შენ დღე-გამოშვებით მაინც იარე, ეტყოდენ ხშირათ უფროსი ქალები, მარა იულია მარ-ტო თავს გაიწნევდა.

— არა, არ შემიძლიან! შეუძლებელია! დედა მარტო
გუშინ ადგა ლოგინიდან, სულ ვათ არის.

— ბავში ლა როგორ არის!

— ბავში მოკვდა, მონათელა ძლიერს მოვისწარით!

— ମେର୍ଯ୍ୟ ଡେଲା ଶ୍ରେଣୀ ଏବଂ କିମ୍ବାର୍ଥା

— არა. ბევრი ხართ უიმისონთაც მჭამელიოდ და მადლობა ღმერტოს, მოკედაო.

— მართალია, ისედაც ბევრი ხართ და მერე ღარიბები! —
მწარე ღიმილით თქვა ქალმა.

— მაინ } შემეცველა, ამოიხორა ჩუმათ იულიამ.

— შენ ბევრს იტირებდი, საცოდავო? დედა შენი კიდევ ქარხანაში იქნება?

— აბა სად უნდა წავიდეს? ეს ერთი კვირის ნამუშევარი გამოუტოცხეს ჯამაგირიდან მაგ შეჩვენებულებმა, იგათ რომ იყო, იმისი. თუ არ გინდა, შენისთანას ბევრს ვიშვითო, ასე უთხრეს. რა ვქნათ, უნდა დავმორჩილდეთ... იულია გაჩუმდა და საჩქაროთ დაიწყო ხელის რევა ჩვრებში. ის რამდენიმეჯრ დაჯდებოდა, მიაწვებოდა სკამს და თავში ხელს მოიკიდებდა, ცდილობდა სული მოეთქვათ თავისუფლათ, მაგრამ საზიზლარ მტვერს ვერსად ემალებოდა, მთლათ ამოევსო ცხვირი და ჟელი. იულიამ გაღმოიწია წინისკენ და დაცა ხელებზე.

— წყალი... წყალი! — ფუჩქუჩებდა ის ჩავარდნილი ხმით. კრუშები მიაწოდეს მას, იმან ხარბათ მიაკრა თვისი ჩამხმარი ტუჩები კრუშების კიდეს.

— შენ ავათ ხარ! — დაბნეულათ შეეკითხენ ამხანაგები.

— ვერ ვარ კარგათ.

— უმჯობესი იქნება სახლში წახვიდე და მუშაობას თავი დაანებო. — იულიამ თავი გაიქნია, მტვერი ეტყობოდა, გაუჯდა შიგ გულში და მოუწამდა ყოველი წვეთი სისხლი. თავი უბრუოდა, საფეოქლები ჩაქუჩივით უცემდენ, სახეზე ცეცხლი ეკიდებოდა, თვალები ებნიდებოდა, უეცრათ სისხლი ამოუსქდა ჟელიდან.

— გული ამოასქდა! — წაიჩურჩულა ერთმა ქალმა. — შეხედეთ, შეხედეთ, რა დაემართა!.. და აღარ შეეძლო ამოეთქვა ის საშინელი სიტყვა. სუყველი ქალები შემოეხვიენ იულიას, და ზარდაცემული ჩაყურებდენ სახეში. — იულია გაინძრა და დავარდა პირქვე ჩვრების გროვაზე, ერთი ჩვარი კიდევ ეჭირა დაკრუნჩხელ თითებში. მოვიდა ექიმი, მარა რას უშველიდა ის იმას? მოკვდა იულია, მოკვდა ისე უბრალოთ, როგორც ცხოვრობდა. აძლევდა თავის უკანასკნელ წვეთ სისხლს სხვას, აძლევდა თავის პარის ძალს ოჯახს, რომელიც თავშეფარებული იყო ქალაქის განაპირას, ნოტიო სარდაფში.

III

ილიკო მუშაობდა ქარხანაში, როდესაც ის გამოიხახეს უკანა კიბეზე. სიბნელეში ძლიერ გაარჩია მან მისი მეზობლის სახე. — წამოდი სახლში, თქვენსა კარგი ამბავი არ არის, დამ, უთხრა მან, დიღხანს სიცოცხლე დაგიბარა!

ილიკოს ოც კი ახსოვს, როგორ გამოიშვა თავი, ჯერ არ უშობდა ხაზენი, მარა მერე კი დათანხმდა, როგორც იყო. ის მიღიოდა, სად? არ იცოდა. ის ის დაბნელებული, ტალანტიანი ქუჩა, არც ერთი სანთელი არ ჩანს, ის ნაცნობი კარები... ილიკომ გააღო კარი და გაჩერდა. იატაკზე იდვა გატიტვებული, გამხმარი სხეული იულიასი. იმას ბანდა კოჭლ საშას დედა. ნასტასია იქვე იჯდა იატაკზე და მწარეთ სტიროდა: „ჩემო იულია, ვიღა გვაჭმევს აში პურს, ჩემო იულია წამიყვანე მეც თან, ჩემო იულია, მოთქვამდა დედა: რითი დაგმარხო, შვილო, რითი გიყიდო კუბო! სტიროდა ნასტასია; ბავშვიც ტიროდენ, შამოსხდომოდენ მას, მარა ის ვერ ამჩნევდა იმათ. კოჭლი საშა იდგა კუთხეში და ზღუქუნობდა. მამა არ იყო სახლში. ილიკო იდგა კარებში და არ ინძრებდა. — „კარი გამოხურე, რას გაგიღია! დაიყვირა მეორე თახისან სახლის პატრონმა ქალმა, ცოცხლებს მაინც ნუ გაყინვთ“. ილიკომ მიუგდო კარი და იქვე მიაწვა კედელს, გაუგებლათ ათვალიერებდა ხან იულიას და ხან დედას.

მკვდარს ჩააცვეს წმინდა ქაბა. ნასტასია კიდევ მოთქვამდა: რა ვქნა, კუბო რითი უუყიდო ჩემს მშვენიერ გოგოს? რითი დაგმარხო, ერთი კაბიკი არ მაქვს! და საცოდავათ მორთო ზღუქუნი.

— რას ჩამაცივდით? მიუბრუნდა ის მტირალ ბავშებს, რას მიმკვრიხისართ, გამშორდით, ნუ მაწუხებთ, მეც მათ წალ იულიასთან, მეც ის დამემართება, რაც მას გადასახლებულების სიზმარეში, გამოვიდა სახლიდან, გულფე რალაც ევგ სავით აწვა, ყურებში კი მოუშორებლათ ესმოდა დედა მისის სიტყვები: „რითი დავმარხო, კუბო რითი ვიყიდოო“. მუშაობდა იულია სულ მათთვის. „წავალ ჩავუვარდები ნემეცს ფეხებში, ფიქრობდა ილიკო—იქნება შემიპრალოს, და მომცეს ჩემი იულიას, ჩემი წყნარი დის დასამარხი, მერე მამა ჩემი მიცემს... ან არა და მოწყალებას ვითხოვ, სირცხვილია!... ეს, რაც იყოს, იყოს!“ და ილიკომ გაუბედავათ, მორცხვათ გაუწია ხელი მოწყალების სათხოვრათ. მთაგროვა მან ცოტა. მარა შაინც მეორე დღეს (ეს იყო კვირა) გაფიტორებული, ისე დაქანცული, რომ ფეხზე ძლივს იდგა, შემოვიდა სარდაფში, და თან მოიტანა ფული. იმან გაასწორა იულიას გვამი, რომელიც სტოლზე იდვა. კოჭლ საშას სადღაც ეშოვა გაყვითლებული ჯვარის წერაზე მორჩენილი ვარდები და მოერთო მითი მისი ამხანაგის ჩამერთალი სახე. ნასტასია იმავ მდგომარეობაში იყო, როგორც წინეთ და მისჩერებოდა იულიას გვამს. ილიკო მიუახლოვდა დედას, ამოიღო ჯიბიდან თავმოწონეთ ფული და მიაწვდა. ნასტასია განციფრდა. — ხაზენმა მომცა... უთავბოლოთ წაირჩიულა ილიკომ: ეს იულიას დასამარხია. ნასტასიამ უფულოთ გადაშალა ქაღალდის ფული და მიაწვდა კოჭლ საშას დედას. — ააა, იულიას დასამარხათ! თეთრი კუბო უყიდე ჩემს იულიას, ახ!.. იულია, იულია! ორი მძიმე ცრემლები ჩამოეკიდა წიმწამებზე, ნიკაპი აუკან კალდა... ილიკომაც უეცრათ დაიწყო ტირილი გულამოჯდომით და ერთიანათ მიეცა ცრემლებს. მაღლიანმა ცრემლებმა შეუმსუბუქათ მეუხარება, რომელიც ლოდსავით აწვათ გულზე დედა-შვილს.

(დასასრული იქნება)

თამარა გოგოლაშვილი

ნაწყვეტები პოლიციკური ეკონომიკიდან

(საუბარი მკითხველთან)

III

კაპიტალი და ზედ-შეც დარებულების წერო.

ჩვენ ვიცით, რომ ფული არის საქონლის ტრიალის იარალი, მხოლოდ ჩვენ არ ვიცით ჯერ, როდის გადაიჭევა ეს იარალი ფულათ. ის ფული, რომელიც გლეხს თვისი შრიმით მოწეულ ოც ბათმან სიმინდში აულია და მით ოჯახის საჭიროება დაუკმაყოფილებია, კაპიტალი არ არის. ის ფული, რომელიც ჩვენებურ მემაულეს გაყიდულ მამულის ფასათ რეგბია და ქალაქში ქიოფსა და კოხტაობაში გაუფლანგავს, კაპიტალს არ წარმოადგენს; მხოლოდ, როცა ვაკარი ფულით სოფლის მონაწეს ყიდულობს, იმიტომ რომ სხვაგან მეტათ გაასაღოს, ამნაირათ დახარჯული ფული კაპიტალი. როცა მექანიკების საქანელი, მას ასალოს ყიდულობს მისთვის, რომ თავისი ქარხანაში დაამუშავებინოს და შემდევ ახალი სახის საქონელი გაიღოს — აქაც კაპიტალი ტრიალებს. რა გინასხავებაა ამ ორ ფულს შეა. ფულია აქაც და იქაც, მხოლოდ მისი მოხმარება, მისი დანიშნულება ერთგან სხვაა და მეორეგან სხვა. პირველ შემთხვევაში გლეხს სიმინდის (საქონელის) ყიდის და ლებულობს ფულს, რომლითაც შემდევ ოჯახის საჭიროებისათვის საქონელს — ვთქვათ, საკაბე ჩითს — ყიდულობს. ყიდის საქონელი მისთვის, რომ სხვა საქონელი იყიდოს. ელევა ერთ სახმარ ლირებულების საქონელს მისთვის, რომ მეორე სახმარი ლირებულების საქონელი შეიძინოს. ფული მხოლოდ შეამავალია ორ საქონელს — სიმინდის და ჩითს შეა. ეს შემთხვევარი როგორ მოკლე,

ფორმულით გამოვთქვათ, ასეთია: საქონელი—ფული—საქონელი ანუ გასააღვილებლათ, ამ სიტყვების პირველი ასოები რომ დაწეროთ ს—თ—ს. ამ შემთხვევაში პირველი და უკანასკნელი სანის (საქონლის) ე. ი. გაყიდულისა და ნაყიდის საცვლელი ღირებულება ერთნაირი უნდა იქნეს. განსხვავება მხოლოდ სახმარ ღირებულებაშია. ავილოთ ეხლა მეორე შემთხვევა: მექარნე ყიდულობს ფულით მატყლს, აკეთებს ამ მატყლისაგან შალს და შემდეგ ყიდის ფულათ. ექვემდებარებულს გაიღებს და ფულსავე აიღებს ბოლოს. ექვემდებარებული შეუძლია ფულსა და ფულს შუა. ესეც რომ მოკლეთ ვთქვათ ასე იქნება: ფული—საქონელი—ფული, ანუ ფ—ს—ფ. როგორც ხედავ, მეითხველო, ექვემდებარებული—საქონელი—ფული—საქონელი—ფული, ანუ ფ—ს—ფ—ს. საკვირველია განა?! შენ არ გიკირს, როცა გეუბნებიან, გლეხმა საქონელი გაყიდა და სხვა საქონელი იყიდა; ალბათ მას ჩითი უფრო ეჭირვებოდა სიმინდზე. მხოლოდ გიკირს, როცა ფულს ფულზე ცვლიან. მართლაც საკვირველია, ერთის თვალის გადავლებით; მაგრამ, როცა დაახლოვებით გავეცნობით ამ საკვირველებას, გავიგებთ, რომ ეს არის დღევანდელი ცხოვრების მამოძრავებელი ჩარხი; ფულის ფულზე გაცვლა თანამედროვე წარმოების დედა-ძარღვია და მხოლოდ ის ფული, რომელსაც ამნაირათ ფულზე ცვლიან, არის ნამდვილი კაბიტალი. რაშია საქმე? უკანასკნელ ფორმულაში პირველი და მესამე საქონელი (ფული). ორივე ერთნაირი სახმარი ღირებულებისა, მათ შორის ღირსებით არავითარი განხვავება არ არის; ამასთანავე, ზევით ჩენ შევიტყეთ, რომ გაცვლა შეიძლება მხოლოდ ისეთი საქონლების, რომელთაც თანასწორი საცვლელი ღირებულება აქვს. მაშ, ჩენს მაგალითში რაღაც წინააღმდეგობაა ან უაზრობა. წინააღმდეგობაა, თუ მექარნების მიერ დახარჯული ფული არ უდრის აღებულს, ნაყიდი გაყიდულს; უაზრობაა, თუ ორივე თანასწორია, რაღაც თუმნის თუმანზე, ასი მანეთის ას მანეთზე გაცვლა ბავშებს თამაშობაში კი შეუძლიათ; ხოლო წარმოუდგენელია მოელი ევროპა, აზია და ამერიკა ამით იქცევდეს თავს. მაგრამ, მაგრიც ის არის, რომ ექვემდებარებული არც უაზრობა. არ არის ამიტომ, რომ ას მანეთით ნაყიდი მატყლი მექარნების იც მანეთით გაასაღო, როცა ახალ საქონლათ—შალათ აქცია, ე. ი. დახარჯულ ფულს ბოლოს ფული მოემატა ჩენის ფორმულა რომ ვიზმაროთ და მომატებულ ფულს (აზი) დავარქვეთ მივიღებთ შემდეგს: ფ—ს—ფ+ა (ფული—საქონელი და ისევ წინააღმდეგობით ფული ახალი ფულის დამატებით). პირველის საცვლელ ღირებულებას ღირებულება მოემატა; ამაქვია ზედ-ქვეტი დარებულება ამნაირათ პირვანდელი ღირებულება არა თუ მარტო შეინახება, გაიზრდება, რაოდენობით გამოიცვლება. აი სწორეთ ეს მოძრაობა შობს კაბიტალს. საიდან ან როგორ ჩნდება ეს ზედმეტი ღირებულება? ევგეგ გაცვლის დროს გაჩნდა ის? გნახოთ. წარმოვიდგინოთ ვაჭარი ისეთი ბედნიერი დღე დაუდგა, როცა ას მანეთიან საქონელში ას იც მანეთს ღებულობს ე. ი. ვაჭარი ას მანეთზე მოტყუებით იც მანეთს იგებს. მხოლოდ მანე ვაჭარმა, დღეს თუ ყიდის, ხვალ უნდა იყიდოს. ყოველთვის ის ვერ მოატყუებს, მასაც მოატყუებენ; ას მანეთიან საქონელში ას იც მანეთს გმოალალებენ ხელიდან; ერთი სიტყვით, როგორც მყიდველი აგებს იც მანეთს და როგორც გამყიდველი ამდენსავე იგებს. ბოლოს მაინც მოტყუებით ვერაფერს გამოიჩინა. ვთქვათ, სულ ერთი ვაჭარი ატყუებს სხვებს, თვითონ, კი არასოდეს არ ტყუებება, მაშინაც ვერ ავსხნით ზედ მეტი ღირებულების გაჩნდას. ზედ მეტი ღირებულება სიმდიდრეს ქმნის, ქვეყნის მისი მომატებაც ემჩნევა. აბა, რა უნდა დაემჩნეს ქვეყნის სიმდიდრეს იმით, რომ ვაჭარი პეტრე ივანეს ატყუებს და მისი ჯიბილან ფულები თავის ჯიბში გადმოაქვს. ფული მაინც იმდენი რჩება,

საჭიროა ამ ძალის პატრონის შესანახათ, საცხოვრებლათ. მაგრამ წაომეობისათვის ეს ძალა მარტო დღეს როდია საჭირო, საჭიროა იგი ხვალ, ზეგ, ორს, სამს, ათას და ოც წელს; ამიტომ მუშამ უნდა შექმნას ქვეყნათ თავისი მსგავსი არსება, გამოუჩეკოს და გამოუზარდოს წარმოებას ახალი ძალა. აი სწორეთ ამიტომ მისი „პური არსებისა“ იმდენი უნდა იქნეს, რამდენიც საჭიროა მისი და მისი ოჯახის გამოსაკვებათ. ეს იქნება მისი სამუშაო ძალის საცვლელი ლირებულებაც. ამ საქონელს ერთი ფრიად საყურადღებო თვისება აქვს, რომლითაც ის სხვა საჭირო არსებისაგან განსხვავდება. სამუშაო ძალის ლირებულებაზე მეტაც დიდი გავლენა აქვს თვითონ მუშის გონიერების და ზნეობრივ მხარეებს: მის ზე-ჩვეულებას, კულტურულ მოთხოვნილებას. მაგალითათ ინგლისის მუშა არასოდეს არ დაკამაყოფილდება იმ ფასით, რა ფასაც ჩვენში ჯერულდან. იქ მეტი მოთხოვნილება აქვს მუშას: ინგლისის ჭარბ ხშირთ ხორცითა და რძით იკვებება, უურნალ-გაზეთებს და წიგნებს ბლომათ კითხულობს, თეატრში და მრავალ სხვა გასართობებში დაიარება მაშინ, როდესაც ჩვენს მუშას ხორცი სანატრელათ გახდომია, რძეს ხომ ვერც კი ნახელობს, უურნალ-გაზეთებისა და წიგნებისთვის მას ვინ რას მისცემს, თეატრის კარებს მხოლოდ შორიდნ შესცერის და სამუშაოდან დაბრუნებული ნოტიო, ბინძურ სარდაფში რიგიანათ გამოინებასაც ვერ ასწრებს. ამიტომ ინგლისელი მუშის ქირა ჩვენებს სანატრელათ გახდომია. მხოლოდ იქაც და აქაც ამ საქონლის ლირებულების საზომი მაინც ერთია და ამ საზომით ზომავს ყოველთვის კაპიტალისტიც და მუშაც. ცხადია, პირველს უნდა, რაც შეიძლება ნაკლები მისცეს, მეორეს—მეტი აიღოს. მათ შორის მუდამ ჭიდილია ამ ნიადაგზე, აქ ეჯახება ერთმანეთს ორი მოწინააღმდეგის ინტერესი, აქ ირლვევა ძმობა, ერთობა და სიყვარული და მხოლოდ ბრძოლა სწყვეტს ამა თუ იმ მხარის გამარჯვებას. რა ქნას მუშამ? მართალია, მოვახსენეთ, ის თავისუფალია მეთქი, მაგრამ ეს თავისუფლება მას უარეს ბორკილებს აქედას ფეხებზე, იგი ეკონომიურათ, ქონებრივათ მაინც დამოკიდებულია სხვისაგან და ფერდები მიმწვარი, ულუკმა-პურო ადამიანი თანხმდება მძიმე პირობაზე და თავის ახალ ბატონთან ერთათ ქარხნის კარებისაკენ გაეშურება.

შევყვეთ, მკითხველო, ჩვენც ფეხ-აკრეფით და გავიგოთ იქაური „საიდუმლოებანი“. ფეხ-აკრეფით მეთქი, რადგან ზედ კარებზე მსხვილი ასოებით აწერია: „უცხო პირთათვის შესვლა სასტიკათ აკრძალულია“.

სამუშაო ძალის მოხმარება, დახარჯვა—არის მუშაობა ანუ შრომა. შრომის ღროს ადამიანსა და ბუნების შეა ერთგვარი პროცესი სწარმოებს; ამ პროცესის ღროს მათ შორის ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა ხდება და ადამიანი თვის ბუნებრივ ძალებით: ხელით, ფეხით, თავით ხელმძღვანელობს ამ გაცვლა-გამოცვლას, რათა ნივთიერებას ისეთი სახე მისცეს, რომელიც ადამიანისათვის რითომ გამოსადევი იქნება. ამიტომ ადამიანს მუშაობის ღროს წინათ განზრახული მიზანი აქვს და თავისი მოქმედებით ამ მიზანს ახორციელებს; ამ მიზნისათვის ხმარობს ადამიანი ბუნებას. მხოლოდ ხმარებისათვის საჭიროა ჯერ ის შეიძინო, რაც უნდა მოხმარო, უნდა გამოსტაცო ბუნებას მისი სიძლიერე და, თუ თვით ბუნება არ იძლევა იმ სახით, რა სახითაც ის ადამიანს ეჭირვება, იძლებული ხარ ის ისე გადაკეთო, როგორც ეს შენი მიზნის განხორციელებას მოუხდება. მუშაობისათვის საჭიროა უთუოთ სამი პირობა—1) მაზნის შესავერი მოქმედება (დალი-სიინგრაზნა ქვეთელინობა), ანუ თვით შრომა, 2) შრომის საგანი, რომელზედაც ეს შრომა იხარჯება და 3) საჭირო და არადება. ადამიანის შრომის უპირველესი საგანი მიწაა, რო-

მელიც მზამზარეულათ იძლევა არსებობის საშუალებას ზევზი, ხილი, მცენარე და სამუშაო, რომელსაც ბუნება მზაობელი გვაძლევს, შრომის ბუნები ბუნები საგნები, მიერთო გადამუშავებულია ტერციული შრომის საგნების საგნათ, ნედლა მასალა ეწოდება. შრომის იარაღი კი ისეთი საგანია, რომელსაც ადამიანი თვისი და შრომის საგნის შეუძლებელი გადამუშავებულია ამ საგანზე გადაეჭვს. ამნაირათ თვით ბუნების საგნები ხდება ადამიანის ორგანოებათ, რომელიც ემატება მის სხეულს, და მით მისი ძალაც იზრდება. შრომის საგანი და შრომის იარაღები წარმოადგენებ წარმოების საშუალებას. ამიტომ წარმოების განსახორციელებლათ საჭიროა „კოცხალი შრომა“ და ამ შრომის საშუალებანი. ასეთია შრომის ხასიათი საზოგადოთ, ვნახოთ როგორია იგი დღეს. ჩვენ უკვე ქარხანაში ვართ. აქ მუშას მზაობება შრომის საშუალებანი: ნედლი მასალა, რომელიც უნდა დამუშავდეს, მაშინა და სხვა მრავალი სამუშაო იარაღები, რომელითაც ეს მასალა უნდა დამუშავდეს. მუშამ იარაღების საშუალებით ამ მასალის ისეთი სახე უნდა მისცეს, როგორიც მექარხნეს სურს; ხოლო ამ უკანასკნელს ისეთი სახე სურს, რომელიც სხვას მოსწონს, უნდა, ეჭირვება ე. ი. ბაზარში გაიტანება გასაყიდათ. მაშასადამე, მუშამ საქონელი უნდა გააკეთოს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ შრომის მასალა და იარაღები, რომელიც მექარხნეს მოეპოვება, თვით წინანდელი შრომის ნაყოფია; დღეს ეს მასალა საშუალებაა ახალი საქონლის შესაქმნელათ. დღეს მან კიდევ ახალი საქონელი შეიძინა, სხვანაირი თვისებისა და სახის: კოცხალი ადამიანი იყიდა, იყიდა მხოლოდ ერთი დღით, კვირით ანუ წლით და ამ ხნის განმავლობაში მუშა ახალი „ბატონის“ სრული მოჩინილი უნდა იქნეს. ასე უნდა თვით ბატონს! ავილოთ რაიმე მაგალითი: ვთქვათ, გასაკეთებელია სტოლი. სტოლისათვის საჭიროა ბევრნაირი მასალა: ხე, წებო, ლურსმანი, ლაქი და სხვ. ვთქვათ, უკველა ამ მასალის ლირებულება უდრის 58 საათის ნამუშავირს. ამ მასალის დასამუშავებლათ ხომ სამუშაო იარაღია საჭირო: შალაშინი, ჩაქუჩი, ხერხი და სხვ. მაგრამ ნუ დავიწყებთ, რომ ამ იარაღებით მარტო ერთი სტოლი როგორ კეთდება; ის გამოდგება ბევრი სტოლის გასაკეთებლათ. წარმოვიდგინოთ, ამ იარაღებით შეიძლება 100 სტოლი გაკეთდეს; მაშასადამე თითო სტოლის გასაკეთებლათ ამ იარაღების მხოლოდ ერთი მესაჟით ნაწილი იხარჯება ე. ი. ერთი სტოლის ფასს ამ იარაღების მხოლოდ ის ნაწილი უნდა მივუმატოთ, რომელიც ხმარების ღროს გაცვლა. თუ მივიღებთ, რომ ეს იარაღები 200 საათის ნამუშევარია და, როგორც ვთქვათ, უონის ას სტოლს, მაშასადამე თითო სტოლს ორი საათის ნამუშევარი დასჭირდება. მასალა და იარაღები ერთი სტოლის გასაკეთებლათ ჯდება 60 საათის ფასათ. ვთქვათ, ეს მასალა მუშამ 30 საათში დაიმუშავა და სტოლი გააკეთა. მაშასადამე სულ ეს ერთი სტოლი 90 საათის ნამუშავარს უდრის (58+2+30). ერთი სიტყვით მისი ნამდვილი ფასი უდრის იმდენ მანეთს, რამდენიც 90 საათის შრომა ღირს. რას აძლევს მექარხნე მუშას? იმდენს, რამდენიც მას ეყოფა საჭმელათ, სასმელათ, ჩასაცმელათ, დასახურავათ, თქახნის შესანახათ და სხვ. თუ ამაგების გასაკეთებლათ საქართველო დღეში 6 საათის მუშაობა, მუშას სამუშაო ძალის ლრებულებაც დღეში 6 საათის ფასს უდრის. გადაეიტანოთ ჩვენი ანგარიში ფულზე და გასაღვილებლათ მივიღოთ, რომ ერთი საათის მუშაობა ღირს ეყვენება 20 კაპ.). მასალა და იარაღი 18 მანეთი (90X20=1,800) ხუთი ღირის (30 საათი-დღეში ეჭვის საათის მუშაობით=5 ღირს) მუშას ქირა 6 მანეთი (30X20=600) სულ 18 მ. ღ 6 მ=24 მანეთი. აი რა უჯდება მექარხნეს სტო-

ლი. სტოლის ღირებულება 24 მანეთს უდრის და ამიტომ მას მხოლოდ ამ ფასათ შეუძლია გაყიდოს. მისთვის ასეთი „კომერცია“ არ არის ანგარიში. მისთვის უჯრობესია სულ დაანებოს თავი თავის ქარხანას და უსაქმოთ იხეტიალოს. მაგრამ მას ერთი „საიდუმლო“ საშუალება აქვს, რომლის შემწეობით მისთვის ეს „კომერცია“ მეტათ მოსაგებია და ასე ადვილია მას თავს არ დაანებებს. გავიგოთ ეს „საიდუმლოება“ ჩვენც. მასალისა და იარალის მოკლება მას არ შეუძლია, რომ მოაკლოს კიდეც, მაშინ ხომ საერთო ჯამსაც მოაკლდება; მომატებით მასალა წარმოების დროს ვერ მოიშატებს; ის პირვანდელი თავისი როდენობით უნდა შევიდეს ახალ საქონელში, მისი მხოლოდ სახე გამოიცვლება, როდენობა კი იგივე რჩება, ის უცდელესა, მუდმივი. მაშ სად პოულობს ხსნას ჩვენი მექარენე? მას „ცოცხალი საქონელი“ ყავს შეძენილი, გარდა მასალისა და იარალებისა; ვნახოთ, ეგბ აქ იყოს მისი შველაც. მექარენეს მუშა მარტო 6 საათით როდი დაუქირავებია, არამედ მოელი დღით: 10, 12 14 საათით. მივიღოთ მუშებისთვის საუკეთესო პირობა, წარმოვიდგინოთ გულკეთილი მექარენე და ვთქვათ მუშას მექარენე მხოლოდ ათ (10) საათის ამუშავებს. ვიანგარიშოთ ხელახლა: მასალა და იარალი—18 მანეთი, 3 დღის მუშის ქირა (30 საათი—დღეში 10 საათის მუშაობით=3 დღე) 3 მანეთი და 60 კაპ. (დღეში 6 საათის ქირა=1 მ. 20 კ.). სულ 21 მანეთი და 60 კაპ. სტოლის ღირებულება კი, ჩვენ ვიცით, 24 მანეთს შეადგენს. სტოლი მექარენეს უჯდება 21 მან. და 60 კ., ყიდის 24 მანეთათ, იგებს თოთო სტოლზე 2 მანეთისა და 40 კ. (თორმეტ აბაზს). ეს იმიტომ მოხდა, რომ მუშამ 6 საათის მაგიერ 10 საათი იმუშავა. აი სად არის ხსნა, აი სად პოულობს მექარენე „უკვდავების“ წყაროს. როგორც ხედავ, მკითხველო, 6 საათი აუცალებელი საშუალებრივა ჩვენს მაგალითში; ამ ხნის განმავლობაში მუშა მხოლოდ თავისის გამოსაკვებს დაიმუშავებს; ამაზე მეტს რასაც მუშაობს, მის კუჭს აღარ არგია, ის საჭიროებაზე ზედ-შეტანი დროა და ამიტომ მისი შრომაც ზედ-შეტანა. ამ შრომაში მას ქირა არ მიულია, მას მუქთათ ისაკუთრებს ქარხნის პატრონი. აი სწორედ ამაშია მისი განმასხვავებელი თვისება სხვა საქონლებისაგან. სხვა საქონელი მოუქმატებლათ ან მოუკლებლათ შედის ახალი საქონლის ღირებულებაში, მუდმივია, მუშის ძალა კი იცვლება და ერთის მხრით ცვლის თვით მასალის ფორმას, მეორე მხრით ზედ-შეტანი შრომით ზედ-შეტანი ღირებულების აკეთებს: ამნაირათ თვით ლარიბის სხვას ამდიდრებს, თვით სუსტი სხვას აძლიერებს, თვით მშეგრი სხვას ფუფუნებაში აცხოვებს! ჩვენ ვავიგოთ, როგორმოების დროს საქონელი კეთდება ერთის მხრით მასალისა და იარალის შემწეობით, მეორეს მხრით სამუშაო ძალის მონარებით. პირველიცა და მეორეც კაპიტალია. მაშასადამე კაპიტალია უფეხნაირი ქტება, რომლის შემწებით სხვისა შრომისაგან მოგება დასჩება. მხოლოდ ამ ორ კაპიტალში პირველი მუდმივია, ამიტომ მას მუდმივი კაპიტალი (постоянный капитал) ეწოდება; მეორე იცვლება მას ცვალებიდან კაპიტალი (переменный капитал) ქვია. აი ეს უკანასკნელია ზედმეტი ღირებულების შემქმნელი, წყაროც. რა რომ მისი დასაბამი შევიტყვეთ, ჩვენთვის აწ ადვილია მისი აწმუნ-მომავალის უფრო დაახლოვებით გაცნობაც. ამაზე შემდეგ.

ა. წულუკიძე.

კერძო საკუთრება და მისი ისტორია

არც ერთი იდეა იმდენ არევ-დარევას, იმდენ აზრთა გადაბრუნებას არ იწვევს თანამედროვე საზოგადოებაში, რო-

გორც იდეა კერძო საკუთრების. არაფერი ასე ყალბაზ ათ აქვს წარმოდგენილი თანამედროვე ადმინისტრაცია, როგორც საკუთრება, მისი შინაარსი. საკუთრება მისი აზრით შედგენული მა ცხოვრებისა, ის ხელშეუხებელი, მუდანი მატერიალურ ბილება ადმინისტრაცია, აუცილებელი მოთხოვნილება მისი ბუნებისა, ის უმთავრესი ძალებია მამოძრავებელი მოელი კაცობრიობის კულტურულ ზრდისა, განვითარებისა... უსაკუთრებოთ ცხოვრება წარმოუდგენელია, შეუძლებელია. ასე ფიქრობს და აზროვნობს თანამედროვე საზოგადოება, რომლის ლექსიკონში სიტყვებს „მე ჩემი“ უმთავრესი ადგილი უჭირავს.

მარა ნამდვილია ასეთი შეხედულება? მართლა ვერ იცხოვრებს და არც უცხოვრია დედა მიწაზე კაცს უსაკუთრებოთ? მართლა უცვლელია საკუთრება? ამ ქვეყნათ ზომ უვლაფერი იცვლება, ყოველივე, რასაც ვხედავთ, ჩნდება, ვითარდება და ბოლოს ირლვევა, კვდება. მცენარე იბადება, იზრდება, ბერდება, მერე მას ქარიშხალი შამოუბერავს, ძირიანათ მოსტებს, დალპება და ისევ მიწათ იქცევა, ნიადაგს გააპოხევებს. ცხოველი იბადება, იზრდება და კვდება, თვითონ ჩვენი ზე ჩვეულება, შეხედულება იცვლება, ბავშვი სხვა ნაირათ გრძნობს და ფიქრობს, შუა ხნის კაცი სხვა ნაირათ, მოხუცი კიდევ სულ სხვანაირათ. გუშინ ჩვენ გვწამდა ცრუმორწმუნებობა, ქაჯები, კინკები, დღეს ყველაფერი ეს ფანტაზიის ნაყოფათ მიგანია. ამ ნაირათ ყველაფერი მუდამ ცვლილებაში, მუდამ ტრიალშია. მაშ საკუთრების რაღა დაემართა? ის რათ უნდა იყოს უცვლელი? საქმეც იმაშია, კითხველო, რომ საკუთრებაც იცვლება, მასაც აქვს გრძელი, ძალიან გრძელი ისტორია, ისეთი გრძელი, როგორც ადამიანის ცხოვრებაა ქვეყნაზე. მაშ დავაკვირდეთ ამ ისტორიას და ამოვიკითხოთ იქიდან ჩვენი კითხვების პასუხი.

T

შირველუფთოდი საზოგადოება.

იყო დრო და ეს იყო რამდენიმე ათასი და ასი ათასი წლის წინეთ ჩვენამდი, როცა პირველი ადამიანი ცხოველურ მდგომარეობიდან გამოვიდა, როცა მან საზოგადოებრივი ცხოვრება დაიწყო და პირველი იარალის ხმარების მოგონებით კულტურულ ცხოვრებაში შედგა ფეხი. მაშინ ის არაურით არ წაგავდა თანამედროვე ადამიანს, არც აზრით, არც მოქმედებით, მის თავში არ ტრიალებდენ სხვა და სხვა სოციალური კითხვები, მას არ აინტერესებდა სხვა და სხვა მსოფლიო მოვლენები; არა, ის ცხოვრობდა ინსტიქტიურათ, შეუგნებლათ სრული ცხოველური ცხოვრებით. მან არ იცოდა, რა იყო საკუთრება, „შენი, ჩემი“, მისთვის არ არსებობდა მითისება. მის გარშემო უხვ ბუნების თავისი კალთა გაემართა (პირველი ადამიანი ცხელ ქვეყნებში ცხოვრებაში ცხოვრებაში), როცა მან საზოგადოებრივი ცხოვრება და პირველი იარალის ხმარების მოგონებით გამოვიდა, მან მუდმივი კაპიტალი (постоянный капитал) ეწოდება; მეორე იცვლება მას ცვალებიდან კაპიტალი (переменный капитал) ქვია. აი ეს უკანასკნელია ზედმეტი ღირებულების შემქმნელი, წყაროც. რა რომ მისი დასაბამი შევიტყვეთ, ჩვენთვის აწ ადვილია მისი აწმუნ-მომავალის უფრო დაახლოვებით გაცნობაც. ამაზე შემდეგ.

ყებს. მათ ხორცის ის წინეთაც სიამოვნებით გვახლებოდათ, თუ კი საღმე მოახელებდა, მარა მათზე ნადირობით აქამდე თავს არ იტკივვებდა. ახლა კი, როცა ცხოვრება საზრუნველი გაუხდა, ისიც შეუდგა მათ დამორჩილებას. ამაში მას გამოადგა ჯოხი, რომლითაც წინეთ ხილს რეცავდა, გამოადგა ის პირთხელი ქვაც, რომელზედაც არა ერთხელ მოულოდნელათ ფეხი წამოუკრავს და გადაუჭრია და რომელსაც წინეთ მხოლოდ ნადირების თავიდან მოსაგერებლათ ხმარობდა. ამნაირათ ის გახდა მონადირე. ამ ხელობაში ის თანდათან აუმჯობესებს თავის იარაღებს, ქვას ის აბამს ჯოხზე, რომ უფრო ღონიერათ მოიქნიოს, შემდეგ ხელოვნურათ უთხელებს ქვას პირს, როცა შესაფერს ვერ პოულობს და სხვ. ერთი სიტყვით მან ისწავლა ბუნების ძალთა გამოყენება, ის შეეჩინა შრომას.

ამით მისი დამოკიდებულება ბუნებასთან ძირიანათ შეიცვალა. აქამდე ის ემორჩილებოდა, ემონებოდა ბუნებას. აქედან, ის თვითონ იწყებს მის დამორჩილებას. ის იღებს იარაღს და იმის შემზღვებით ამუშავებს ბუნების მიერ მიცემულ მასალას, ქმნის ახალ ნივთს, რომლის მსგავსი თავისთავათ ბუნებას არ მიუკია. ან ნაირათ ის იწყებს სრულიად ახალ ცხოვრებას — ის კჩვეულობრივი მრავალობის ხედის დამიანი. ადამიანი, იარაღის ქმრწერობით შშრომელი ცხოველია, ე. ი. ისეური ცხოველი, რომელიც ქმნის ახალ ნივთს ბუნების მასალას.

ამავე დროს აღამიანი არ ცხოვრობს მეუღლაბნოვესავით
განმარტოვებული, ნადირივით გავარდნილი ტყეში. პირიქით
ის მუდამ ჯგუფ-ჯგუფათ, მთელი საზოგადოებებით ცხოვრობდა.
ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ისტორიაშ არც წარსულ-
ში და არც ველურთა ცხოვრებაში, რომელნიც ჩვენ დროს
პირველ ყოფილ აღამიანს წარმომადგენელნი არიან, არ იცის
აღამიანი საზოგადოების გარეშე. ისინი მუდამ რამე ჯგუფს
შეადგენენ, ერთათ ცხოვრობენ. ამას მოითხოვს მათი ცხოვ-
რების ინტერესი; მათ ბევრი მტერი ყავთ, ტყის ნადირები
ხშირათ თავს ესხმიან, ამათ მოგერება უნდა. თვითეული მათ-
განი მასთან შედარებით მეტათ უძლოურია და მის კლანჭებს
ვერ გადაუტჩება. ამიტომ ის უნდა შეუერთდეს სხვა აღამია-
ნებს, რომ დაიცვას თავის არსებობა. ამ ნაირათ აღამიანი
მუდამ საზოგადოებაში ტრიალებს, ის საზოგადოებრივი ცხა-
ველია.

ახლა ვიკითხოთ, ვისგან შესდგება ეს პირველ-ყოფილი საზოგადოება. ადვილათ მისახვედრია, რომ მასში უპირველეს ყოვლისა უნდა შედიოდენ ისინი, ვინც თვით ბუნებამ ერთო მეორეს დაუახლოვა, ვისაც ნათესაური კავშირი აერთებს. მართლაც, პირველი საზოგადოება მამის, დედის, შვილის და მათთან შექრიცილ ახლო ნათესავებისაგან შესდგება, ასე რომ ეს არის საზოგადოება, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ოჯახი ნათე საცურ კავშირზე დაყარებული. ასეთ ნათესაურ ოჯახი წევრთა რიცხვი მცირეა, სულ დაახლოვებით 15—30 კაცამდე თუ იქნება. და ამ ეს პატარი ჯგუფი ცხოვრობს სრულად თავისებურის ცხოვრებით. მათში არ არსებობს უფროს-უმცრო სობა, ბატონები და ყმები, ყველა თანასწორია, ყველა თვით თონაა ბატონიც და მოსამსახურებულიც, ბრძანებელიც და იღმა სრულებელიც. სხვანაირია არც შეიძლება იყოს. იმ პირველ ყოფილი, უბრალო იარაღებთ თვითეულ მათგანს მხოლოდ იმდენის გაკეთება შეუძლია, რამდენიც აუცილებლათ საჭიროა მისი გამოკვებისთვის, ამიტომ არავის არ შეუძლია სხვის შრომით ისარგებლოს, ყველამ უნდა თვითონ იშრომოს და თავის ლუქმა-პური თავისი ძალ-ლონით შეიძინოს.

ამასონავე მათი გამოკვების უმთავრესი საშუალება—ნაღირობა—თხოვულობს მათ შეერთებულ მოქმედებას. თვითე ულს არ შეუძლია ძლიოს ნაღირს იმ უბრალო ქვიანი ჯო.

ხით, რომელიც მას აბადია; სამაგიეროთ ეს ადვილია შეერთებულ ძალისთვის. ეს აჩვევს მათ ერთათ შრომას. ამიტომ პირველ-ყოფილი ადამიანები საერთოთ შრომობენ და შეუტარებელი და როცა რომელიმე ნადირს ხელში ჩაიგდებენ და დაეხვევიან და საერთოთ მიირთმევენ. მათ არ იციან, რას ნიშნავს წილი, გაყოფა, შენ-ჩემობა, ვის რომელიც შეუძლია, იმდენს მიირთმევს. არავინ არ ფიქრობს მონარქენი ხვალინდელი დღისთვის გადასდოს-შეინახოს. მომავალზე ზრუნვა მათ არ იციან და არც შეუძლიათ. ხვალ ხელ-ახალი ნადირობა გაიმართება და ახალი ნანაღირევიც იმგვარათვე შეიქმნება, როგორც პირველი.

ამ ნაირათ ეს პირველ-ყოფილი აღამიანები ერთი არიან ჭირშიც და ლხინშიც, შრომაშიც და ნაშოვნის მოხმარაშიც. მათ შორის არ არსებობს მქონებელი და არ მქონებელი, მათ არც კი აქვთ წარმოდგენილი, რას ნიშნავს მდიდარი და ღარიბი. თუ ერთს აქვს, მაში ყველას აქვს. თუ ყველას რამე მოეპოვება, მაშინ თვითოულსაც აქვს. მონადირე, რომელიც უეცრათ დაჭრის ნადირს, ან ლეშს წააწყდება, მაშინვე თავის ამხანაგებს ეძახის, მთელ გვარს კრებს და ისე შეექცევიან. თუ ნადირი ისე დიდია, რომ ერთი გვარი მარტო ვერ მოერევა, მაშინ მახლობელ ნათესავ-გვარსაც მოუწოდებენ და ისე ამ-ნაირათ ყველაფერს საერთოთ შეექცევიან. ასეთ წყობილებას ეწოდება ჰირველ-უფიაზი კოშუნიზმი. ამ წყობილებაში, ყველა-ფერი ეკუთვნის ყველას და არაფერი კერძო პირს. გვარი ყველაფერია, კერძო პირი არაფერი. მარა ესაა კომუნიზმი დაბექავების, გაჭირვების, აქ ყველა თანასწორათ ბუნებისგან დაჩიგრულია, ყველა თანასწორათ გაკირვებულია. მისცათ ბუნებამ დღეს ბევრი ალაფი, ყველა მაძღარია, კმაყოფილია, ხვალ ნადირობა გაუცდათ, ვერაფერი დაიჭირეს, ყველა უნდა დაიმშეს. ასეთია პირველ-ყოფილი კომუნიზმი, რომელიც სა-მუშაო იარაღოთა განუვითარებლობაზეა დამყარებული.

არ შეიძლება დარწმუნებით იმის თქმა, რამდენ ხანს გა-
უვა ადამიანს ეს პირვენდელი სიუხვე, თავის პიროვნების უარ-
ყოფა და გვარის გაბატონება, მაგრამ ის კი ყოველ ეჭვს გა-
რეშეა, რომ ეს ფორმა საზოგადოებრივ ცხოვრებისა არსე-
ბობდა მანამდი, სანამ საზოგადოება არ გამოვიდა ნადირობის
ეპოქიდან, სანამ მისი საწარმოვო (სამუშაო) იარაღები უფრო
არ გაუმჯობესდება და სხვა გვარი შრომა არ მოითხოვეს. და-
ვაკერდეთ იმას.

ჩევენ მონაღირეს მალე აღარ ყოფნის ჯოხით ან ქვით
ნადირობა. ნადირი გაუტბის მას, მათი რიცხვი მცირდება და,
რომელიც დარჩენილან, ისინიც შეტათ ფრთხილი გამხდარან,
მათთან ახლოს მიპარება ძნელია. მიუხედავათ ამისა აღამიანთა
რიცხვი მრავლდება და მრავლდება. ახლა მათ მეტი საჭმელი ეჭი-
რვება; შოვნა კი ახლა უფრო ნაკლების შეიძლება, ცხოვრე-
ბისთვის ბრძოლა თანდა-თან მწვავდება, აღამიანი ძალაუნებუ-
რათ იწყებს ფიქრს, რით უშველის ასეთ მდგომარეობას. ის
ძალის ატანს ტვინს, ავარჯიშებს გონებას და ბოლოს ახალ
გაუმჯობესებულ იარაღებს იგონებს. ის აკეთებს ქვის შუბს,
შემდეგ ეჩვევა ტოტის მოღუნვას, იგნებს მის მოქმედებას,
და აწყობს შვილდისარს. ახლა მას შეუძლია უფრო ადვილათ
მოკლას ნადირი და ამიტომ დროებით ის უზრუნველ-ყოფი-
ლია. მაგრამ მალე ნადირი იმ ადგილიდან სრულიად ქრება,
მათი ხორცით კვება შეუძლებელი ხდება. მუცელი კი სა-
ზრდოს თხოვლობს, შიმშილი აწყებს. აღამიანიც ისევ იარა-
ღების გაუმჯობესებას და ახალ წესით მოქმედებას იწყებს:
ის აკვირდება ბუნებას და ბაძევს მას. ცხოველები შამოაკლდა,
ის ცდილობს მათ მოშენებას და გაშინაურებას, ბუნების ნა-
ყოფი აღარ ყოფნის, ის ცდილობს მის ხელოვნურათ აღმო-
ცენებას. მრავალ წლის განმავლობაში დაკვირვების შემდეგ

